ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 5 ივლისი, 2022 | №130 (8908) | ფასი: 80 თეთრი

ბოლნისის სასამართლომ ეპარქიის დაფინანსება გათილად ცნო

გვ.5

გვ.5

2 მილიონი დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაული გამოვლინდა

„ოპოზიცია ხომ ამბობს, მაგარი ბიჭები ვართო, მიიყვანონ საქმე ბოლომდე“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ბიძინას ჩართულობა იქნება ერთადერთი შანსი, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს“



„ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერი ცილისწამება, ნებისმიერისთვის ტალახის სროლა. ნებისმიერ სიბინძურეზე ნავლენ ოპონენტის დისკრედიტაციისთვის“

„გადადექი-გადადექის ძახილით ხელისუფლების შეცვლა ევროპული სტილი არ არის“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „აქციაზე მოთხოვნების შინაარსი პოლიტიკოსების მიერ იყო დაწერილი, რომელიც არასამთავრობოებმა გაახმოვანეს“

გვ.4

„სამოქალაქო სექტორი ხალხს გეგმას ვერ სთავაზობს“

გიგა ბუკია: „დასავლეთი დაიღალა საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების გაუთავებელი იწილობიწილოთი“.

ხუნდაძე, სუბარი და ყაველაშვილი მორიგ განცხადებას ავრცელებენ

გვ.3

თორნიკე რიჟვაძე: „ლიბერასტების პოლიტიკური კვნესა ვნახეთ“



გვ.2

გვ.3

ბათუ ქუთელია: „უკრაინელებიც ევროკავშირის დროშის ქვეშ მიდიოდნენ ტყვიაზე, რომელსაც ავტორიტარი ესროდა“

4 „არავინ არ იფიქროს, რომ შავ-თეთრ ფოტოზე 19 წლის გოგონა დაიღალა“ — მარი მახარაძის ემოციური მიმართვა

5 პოლიციელის მიერ მოქალაქის დაჭრა წალენჯიხაში — ახალი დეტალები

6 კოპენჰაგენში სავაჭრო ცენტრში რამდენიმე ადამიანი მოკლეს

6 ფოტოგრაფმა მოდელი ტყეში შეიტყუა, შიშველი ხეზე მიაბა და მოკლა

1993230720223

„ოპოზიცია ხომ ამბობს, მაგარი ბიჭები ვართო, მიიყვანონ საქმე ბოლომდე“

გია ხუხაშვილი: „ბიძინას ჩართულობა იქნება ერთადერთი შანსი, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



– ბატონო გია, როგორ აფასებთ განვითარებულ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ამდენ ხალხს ვეღარ შეკრებენ. აუცილებელია თუ არა პროცესში პოლიტიკოსების ჩართულობა? რას ელით?

– საერთოდ, ხალხის რაოდენობაზე, მუხტსა და მსგავს საკითხებზე აქცენტის გაკეთება რა წესია. კარგით რა, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?! ამაზე აპელირება არასწორად მიმაჩნია. ეს იყო პირდაპირი დემოკრატიის აქტი. რას ნიშნავს პირდაპირი დემოკრატია? იმას, რომ როდესაც პოლიტიკური ელიტა გადის თავისი მანდატის ფარგლებიდან, ანუ არ ასრულებს იმ დავალებას, რომელსაც ხალხი მას აძლევს, ხალხი ახსენებს პოლიტიკოსებს, რომ ისინი არიან დაქირავებულები და ეუბნებიან, რომ კეთილი უნდა ინებონ და დაბრუნდნენ იმ დღის წესრიგში, რა დაკვეთაც აქვთ ხალხისგან აღებული. ასეთი აქციები ამას ემსახურება. მე საერთოდ არ მიმაჩნია სწორად, როდესაც ასეთ აქციაზე პოლიტიკური მოთხოვნები დგება, დავუშვათ, პრემიერის გადადგომა. გასაგებია, რომ ღარიბაშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრი, ამ ქვეყნის დიდი გაუგებრობაა, მაგრამ სამოქალაქო პროტესტის დროს პოლიტიკური მოთხოვნები არ უნდა იყოს.

– ამან დააზარალა ეს პროცესი?

– ჩვენ დიდ სურათს უნდა ვუყუროთ. არის შეცდომები, არის რაღაც ნიუანსები, მაგრამ იმის ილუზია ვინმეს ჰქონდა, რომ აქციით ეს ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო?! ან ვინმე ფიქრობდა, რომ ამ გამოსვლებით ღარიბაშვილი გადადგებოდა?! ასე არ არის! ამიტომ არის ცუდი, როდესაც სამოქალაქო პროტესტი იმართება, იქ უნდა იყოს ძირითად, გრძელვადიან ამოცანებზე ლაპარაკი და პოლიტიკოსებისთვის შემოძახება, რომ დაბრუნდნენ იმ დღის წესრიგში, რომელიც ქვეყანას სჭირდება. დანარჩენი უკვე პოლიტიკოსების საკეთებელია, ვინ გადადგეს, ვინ გადმოდგეს, ვინ იყოს ხელისუფლებაში, ვინ – ოპოზიციაში. ეს არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი, ხოლო ის, რაც ხდებოდა გუშინ, სახელმწიფოებრივი პროცესია, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, დიდია და ამ ფარგლებიდან გადის. თუ მაინცდამაინც დააყენეს პოლიტიკური მოთხოვნები, მაშინ, შემდგომი ნაბიჯებიც უნდა ჰქონოდათ გათვლილი.

„ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერი ცილისწამება, ნებისმიერისთვის ტალახის სროლა. ნებისმიერ სიბინძურეზე წავლენ ოპონენტის დისკრედიტაციისთვის“

– არ გათვალეს?

– ასე გამოდის. ვინმეს ჰქონდა ილუზია, რომ ღარიბაშვილი გადადგებოდა? ხომ იცოდნენ, რომ არ გადადგებოდა. შესაბამისად, თუ პოლიტიკურ მოთხოვნას აყენებ, მაშინ უკვე პოლიტიკაში ხარ და უნდა გქონდეს გათვლილი გაგრძელება, რაც, როგორც ჩანს, მაინცდამაინც კარგად არ ჰქონდათ გააზრებული. ამ ყველაფრის მიუხედავად, მე საზოგადოების მიმართ კრიტიკული არ ვიქნებოდი, იმიტომ, რომ არ არის საზოგადოების ფუნქცია პოლიტიკური პროცესის წარმართვა. თუ ხალხი ამ წესს მიმართავს, ამაში მხოლოდ ხელისუფლება კი არა, ოპოზიციაც დამნაშავეა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ოპოზიციის ფუნქციაა, ხელისუფლება გზას რომ ასცდება, ამ პროტესტის კაპიტალიზაცია მოახდინოს და გაუძღვეს პროცესს წინ. ჩვენი ოპოზიცია ამას რადგან ვერ ახერხებს, ამიტომ გახდა ხალხი იძულებული, ეს თავის თავზე აეღო და თავად გაეკეთებინა. ხომ ამბობს ოპოზიცია, მაგარი ბიჭები ვართო, აი, საზოგადოებამ აჩვენა თავისი პოლიტიკური ნება. თავისი კრიტიკული დამოკიდებულება იმის მიმართ, რომ ხელისუფლება ფაქტობრივად საბოტაჟს უწევდა ჩვენთვის სტატუსის მონიჭებას. საზოგადოებამ თავისი ურყევი ნება აჩვენა. ახლა გადაიბარონ ესტაფეტა პოლიტიკოსებმა და მიიყვანონ საქმე ბოლომდე, თუ რამის თავი აქვთ. თუ არა აქვთ და მაშინ სულ იქნება ასე, როგორც ვართ!

– რიხი მოემატა „ქართულ ოცნებას“. კობახიძის განცხადებებს ვისმენთ, ოპოზიციას არაფრის თავი არა აქვს და ეს გუშინდელმა დღემ გვაჩვენაო. მაინც ნაციონალურ მოძრაობასთან გააიგივეს ეს აქციები.

– ხელისუფლება რომ გააიგივებს, ეს გასაგებია. ისინი ამ რიტორიკას არიან მიჩვეული. მათთვის ტალახის სროლა არაფერს არ ნიშნავს. ამიტომ არის ეს ხელისუფლება უბედურება! მათ შეუძლიათ ნებისმიერი ცილისწამება, ნებისმიერისთვის ტალახის სროლა. ნებისმიერ სიბინძურეზე წავლენ ოპონენტის დისკრედიტაციისთვის.

– რამდენად შეინარჩუნებს ამ მუხტს ოპოზიცია?

– არ ვიცი, რა გითხრათ. ჩვენ არა გვაქვს ამის პოზიტიური გამოცდილება.

– პოლიტიკურადაც მკვდარი სეზონი მოდის.

– რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკოსები ასე არიან, ზაფხულში ცხელა და ზღვაზე უნდა წავიდნენ, მერე შემოდგომაზე რთველია და რთველში ხომ უნდა მიიღონ მონაწილეობა, გაზაფხულზე წვიმს და გარეთ ხომ არ გამოვლენ, ზამთარში კიდევ ცივა. როდისღა უნდა აკეთონ პოლიტიკა? მათი მოსაწონი სეზონი არ არსებობს.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების მხრიდან კომისიების შექმნა, ოპოზიციის მიპატიჟება დროის გაწელვის მცდელობაა?

– რა თქმა უნდა. ისინი რომ არაფრის გამკეთებლები არ არიან, არ ვიცით? რამის გაკეთება რომ სდომებოდათ, აქამდე გააკეთებდნენ. ხელისუფლებამ რომ რამე გააკეთოს, ამას უნდა იძულება. აქ მთავარი კითხვაა, ახერხებს საზოგადოება ხელისუფლების იძულებას თუ ხელისუფლება ხარპაშებს, როგორც უნდა?! ცხადია, ზეწოლის გარეშე არაფერს არ გააკეთებენ.

– ეს მუხტი თუ განელდა, „ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს?

– რა თქმა უნდა. მათ ხომ ერთადერთი ფასეულობა აქვთ, ძალაუფლება. თუ ძალაუფლებას შეინარჩუნებენ, სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ ყველაფერი?!

– რას იტყვით იმ სამეულზე, რომელიც „ოცნებას“ გამოეყო? დაიწყეს უკვე განცხადებების კეთება.

– კარგით, რა. ძალიან არასერიოზულია ეს ყველაფერი. რა გამოეყო, რის გამოეყო. ესენი არიან ყველაზე საფუძვლიანი „ოცნების“ წევრები. ფორმალურად რომ რაღაც გამოაცხადეს და რაღაცას ლაპარაკობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადმე გავიდნენ. არსადაც არ გასულან.

– რას ემსახურება მათი ქმედება?

– ევროპის შანტაჟს. ცუდი ბიჭები ვართ და მიგვიღეთ ასეთები, როგორებიც ვართ, სხვა შემთხვევაში, დაგაბრალებთ, რომ ომი გინდათო. მთელი „ოცნება“ ასე ფიქრობს, უბრალოდ, ყველას მაგივრად ესენი ლაპარაკობენ. მდინარაძემაც სწორედ ეს არ თქვა?! ჩვენ ვერ ვლაპარაკობთ და ისინი ილაპარაკებენ ჩვენ მაგივრადო.

– რა იყო ეს, ივანიშვილის გათამაშება?

– თუ მართლა გათამაშება იყო, ძალიან უხარისხო და თეთრი ძაფით არის ნაკერი. ივანიშვილის გათამაშება იყო თუ პეტრიაშვილის, რა მნიშვნელობა აქვს. გამოდის, რომ ყველანი იდიოტები ვგონივართ და ვერ ვხვდებით ასეთ ვირეშმაკობას.

– ოპოზიციის ერთი ნაწილი ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილის ჩართვას ითხოვს. გამოვა ასე სააშკარაოდ?

– პროცესი რომ დაიძრას, ამის ერთადერთი შანსია ბიძინა ივანიშვილის პირადი ჩართულობა. თუ ივანიშვილი არ იქნება ჩართული, რა მნიშვნელობა აქვს, კობახიძე რასაც არ უნდა შეგპირდეს, ბიძინა მაინც გადაგაგდებს ბოლოს. რა აზრი აქვს კობახიძესთან სალაპარაკოდ დაჯდომას? ადამიანთან, რომელიც, უბრალოდ, ფოსტალიონის როლს ასრულებს. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც რეალურად შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს და შემდეგ ამ გადაწყვეტილებაზე პასუხო მოსთხოვო, არის ბიძინა ივანიშვილი. სხვა ამ ქვეყანაში არავინ არ არსებობს.

– მისი გამოსვლა ასე საჯაროდ ადასტურებს იმას, რომ ის მართავს პროცესებს. არის ამაზე წამსვლელი?

– რა მნიშვნელობა აქვს, მაინც მას აკისრებს ისტორია ამ პასუხისმგებლობას. ყველა თანხმდება, რომ ის მართავს ქვეყანას. ლამის უკვე სანქციებზეა ლაპარაკი. დამალვის აზრი რა არის?! პოლიტიკაში რეალობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, როგორი აღქმაა საზოგადოებაში. აღქმა არის ასეთი, რომ ის არის მმართველი. რომ იმალება, ვითომ ამით რას აკეთებს?! ყველაფერი უჩანს, ყურები, თავი, ფეხები. მარტო თავის თავს იტყუებს, სხვას ვის ატყუებს. ბიძინას ჩართულობა იქნება ერთადერთი შანსი, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს.

ივნისში საქართველოში მხოლოდ 6 პროდუქტი გაიაფდა

2022 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის ივნისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.8 პროცენტი შეადგინა.

„ბიზნესპრესნიუსი“ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გთავაზობთ საკვები პროდუქტის ჩამონათვალს, რომლებიც მიმდინარე წლის ივნისში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიაფდა:

სტაფილო – 9.6%-ით; ლიმონი – 8.1%-ით; ბანანი – 3.2%-ით; ნიორი – 1.4%-ით; წიწაკა – 0.7%-ით; მსხალი – 0.9%-ით.

ივნისში რომელი პროდუქტები გაძვირდა

ივნისში წლიურმა ინფლაციამ 12.8% შეადგინა – სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასი 21.8%-ით გაიზარდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გთავაზობთ ტოპ-10 საკვები პროდუქტის ჩამონათვალს, რომლებიც მიმდინარე წლის ივნისში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტად გაძვირდა:

ქლიავი – 119.7%-ით; ყურძენი – 89%-ით; მწვანე ლობიო – 73.3%-ით; ატამი – 69%-ით;

საზამთრო – 59.6%-ით; სიმინდის ფქვილი – 54.1%-ით; კარტოფილი – 47%-ით; პამიდორი – 46.3%-ით; ბადრიჯანი – 42.8%-ით; ხახვი – 39.6%-ით.

გაძვირებული პროდუქტების ათეულში არ მოხვდა, თუმცა 36.2%-ით გაიზარდა პურის ფასი ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

თორნიკე რიჟვაძე: „ლიბერასტების პოლიტიკური კვნესა ვნახეთ“

– ალბათ, ვისაც არ ჰქონდა ნანახი „ლიბერასტების“ პოლიტიკური კვნესა, გუშინ ვნახეთ ეს ყველაფერი.

ასე შეაფასა 3 ივლისს თბილისში გამართული აქცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

მისი თქმით, აქციის მონაწილეების მოთხოვნების დაკმაყოფილებას არავინ აპირებს.

– გამიჭირდება შეფასება. ალბათ, ვისაც არ ჰქონდათ ნანახი „ლიბერასტების“ პოლიტიკური კვნესა, გუშინ ვნახეთ ეს ყველაფერი.

რა თქმა უნდა, ამ კონკრეტული ჯგუფის კონკრეტული ახირებების მოსმენასა და მით უმეტეს მათ დაკმაყოფილებას არავინ აპირებს. ჩვენს ქვეყანაში შევინარჩუნებთ მშვიდობას და ხალხის სამსახურს, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მობილურების იმპორტი და რეექსპორტი რეკორდულად იზრდება — ქვეყნები, სადაც ვყიდით და ვყიდულობთ ტელეფონებს

ტელეფონების როგორც იმპორტი, ისე რეექსპორტი იზრდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წლის 5 თვეში საქართველოდან რეექსპორტზე 12,507 მლნ აშშ დოლარის მობილურები გავიდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 3,530 მლნ აშშ დოლარის, 2020 წლის 5 იანვარ-მაისში კი – 97.7 ათასი აშშ დოლარის.

რაც შეეხება იმპორტს, აქაც მნიშვნელოვანი ზრდაა. 2022 წლის 5 თვეში საქართველომ 102,132 მლნ აშშ დოლარის ტელეფონები შეიძინა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში – 80,057 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 2020 წლის იანვარ-მაისში – 57,110 მლნ აშშ დოლარის.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, სად ვყიდულობთ და ვყიდით მობილურ ტელეფონებს.

ტოპ-10 ქვეყანა, საიდანაც 2022 წლის იანვარ-მაისში საქართველომ მობილური ტელეფონები შეიძინა:

არაბთა გაერთიანებული საამიროები – 34,468 მლნ აშშ დოლარი; ჰონ-კონგი – 17,061 მლნ აშშ დოლარი; ჩეხეთი – 13,033 მლნ აშშ დოლარი; ჩინეთი – 10,702 მლნ აშშ დოლარი; რუსეთი – 8,463 მლნ აშშ დოლარი; ვიეტნამი – 5,448 მლნ აშშ დოლარი; ნიდერლანდები – 4,804 მლნ აშშ დოლარი; შვედეთი – 1,710 მლნ აშშ დოლარი; ინდოეთი – 1,364 მლნ აშშ დოლარი; ისრაელი – 1,146 მლნ აშშ დოლარი.

ქვეყნები, სადაც 2022 წლის 5 თვეში საქართველოდან ტელეფონები რეექსპორტით გავიდა:

აზერბაიჯანი – 9,219 მლნ აშშ დოლარი; სომხეთი – 2,440 მლნ აშშ დოლარი; თურქმენეთი – 435.9 ათასი აშშ დოლარი; უზბეკეთი – 190.7 ათასი აშშ დოლარი; შვეიცარია – 121.4 ათასი აშშ დოლარი; ლიეტუვა – 52.3 ათასი აშშ დოლარი;

უკრაინა – 26.4 ათასი აშშ დოლარი; არაბთა გაერთიანებული საამიროები – 18.5 ათასი აშშ დოლარი; რუსეთი – 1.600 აშშ დოლარი; ყაზახეთი – 700 აშშ დოლარი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გადადექი-გადადექის ძახილით ხელისუფლების შეცვლა ევროპული სტილი არ არის“

რამაზ საყვარელიძე: „აქციაზე მოთხოვნების შინაარსი პოლიტიკოსების მიერ იყო დაწერილი, რომელიც არასამთავრობოებმა გაახმოვანეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ რადგან მთავრობის სხდომა ჩატარდა, ე.ი. წააგეს. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს? შეფასებები არაერთგვაროვანია, რომ აქციებს მაინც გამოცდილი ხალხი, პოლიტიკოსები უნდა მართავდნენ და ა.შ.

– იმ გამოცდილი ხალხის ორგანიზებული არაერთი აქცია გვინახავს და არ იყო მაინცდამაინც შთამბეჭდავი. პარტიების მიერ ჩატარებულ და ორგანიზებულ მიტინგებზე ბევრად მეტი ხალხი 3 ივლისის აქციაზე მივიდა.

ოპოზიციამ სრულიად გასაგები მიზეზებით გადაწყვიტა ჩრდილში გადასვლა. ხომ ვიცით, რაც იყო რეალური მიზეზი. ჩრდილში იმიტომ კი არ გადავიდნენ, რომ ზაფხულის მზეს გაერიდნენ.

– ტაქტიკური სვლა იყო.

– რა თქმა უნდა, სულ უფრო ნაკლები ხალხი მიდიოდა ოპოზიციის დაძახილზე, ამიტომაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ამაში ხომ ეჭვი არავის არ ეპარება. იმ მიტინგზე მაინც გაისმა მიშა! მიშა!

– მოთხოვნები, ტექნიკური თუ ეროვნული თანხმობის მთავრობის ფორმირება, შეცდომა იყო? შემდეგ უკვე მთავრობის გადადგომა, ფიქრობთ, რომ მიუღწეველი იყო?

– ჯერ კიდევ სააკაშვილმა გაახმოვანა ტექნიკურ მთავრობაზე იდეა. იგრძნობოდა, რომ მოთხოვნების შინაარსზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა კი არა, ნაციონალურმა მოძრაობამ, პოლიტიკოსებმა იმუშავეს. მოთხოვნების შინაარსი პოლიტიკოსების მიერ იყო დაწერილი, რაც შემდეგ მიტინგზე არასამთავრობოებმა გაახმოვანეს. სპიკერები იყვნენ „სირცხვილიასა“ თუ „შინ ევროპისკენ“ ლიდერები. როდესაც შინაარსის ასეთი დამთხვევა ხდება, ყველაფერი გასაგებია.

„ბუნებრივი ბარიერი ძალიან ჭკვიანური სვლა იქნება ხელისუფლების მხრიდან. ეს ხელს უწყობს მრავალპარტიულობასაც, მით უფრო – საპარლამენტო რესპუბლიკაში“

– ეროვნული თანხმობის მთავრობაში ხომ „ოცნებაც“ მოიაზრება.

– საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავარი პარლამენტია, ის უმრავლესობა, რომელიც მანდატებს აკონტროლებს და არა მთავრობა. კანონები პარლამენტმა უნდა მიიღოს და არა მთავრობამ. თუ „ქართულ ოცნებას“ ეყოლება უმრავლესობა, რასაკვირველია, გაიტანს იმ კანონპროექტებს, რომლებიც მას უნდა.

გასაგებია, რომ „ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, პროდუქტიულობა არ ახასიათებს. გასაგებია, რომ მის ამომრჩეველს ძალიან აღიზიანებს, ნაციონალური მოძრაობა მთლიანად რომ გადმოიბარა სასამართლო თუ საარჩევნო სისტემაში, მაგრამ, როდესაც რეალური ალტერნატივა არ ჩანს, როდესაც ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ე.წ. მესამე ძალა ან ლიდერები, რომლებიც უკეთესს შესთავაზებენ ქვეყანას, მის მომავალს, მაშინ გვექნება ის სურათი, რომელიც აქამდე გვაქვს.

გადადექი-გადადექის ძახილით ხელისუფლების შეცვლა ხომ ძალიან ბევრჯერ უნახავს ამ ქვეყანას. ეს არ არის ევროპული სტილით ხელისუფლების შეცვლა. არჩევნებამდე დარჩენილ დროში შეიქმნას, გაჩნდეს ახალი ძალები, ახალი პარტიები და შემდეგ არჩევნების გზით გადაწყდეს, რა და როგორ.

– ირაკლი კობახიძის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ალბათობა დიდია, თუმცა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გადადგამს ოპოზიცია ნაბიჯებს დეპოლარიზაციისკენ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, „ოცნება“ სრულად პროპორციულ სისტემასა და ბუნებრივ ბარიერზე წავიდეს?

– წავიდეს კი არა, აწყობთ სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა, რადგან პროპორციულ სისტემაში წამყვანი პარტიების რეიტინგია. როდესაც ოპოზიციური პარტიების რეიტინგი ისეთია, როგორიც არის, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნებისთვის“ საკონსტიტუციო ცვლილებები მომგებიანიც კია. მაჟორიტარულ ოლქებში ხომ ვნახეთ, რაღაცა ადგილები მოიგო ოპოზიციამ პოლიტიკური ფიგურების ხარჯზე.

– თუ აწყობდა, მაშინ, მიშელის დოკუმენტიდან რატომ გავიდა, რატომ მოახდინა მისი ანულირება?

– მიშელის დოკუმენტში წამყვანი პუნქტი საარჩევნო სისტემის ცვლილებას არ ეხებოდა. მახსოვს, 42%-ზე იყო საუბარი, რაც არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს, თუმცა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, „ქართულ ოცნებას“ აწყობს საარჩევნო სისტემის შეცვლა.

– ბუნებრივი ბარიერიც ან ერთპროცენტიანი?

– რა თქმა უნდა! ეს ძალიან ჭკვიანური სვლა იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან. თავის დროზე შევარდნაძემ სწორედ ქუჩაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი პარლამენტში ამ გზით გადაიტანა, ნულოვანი ბარიერი დააწესა და ყველა პარტია, რომლებიც ქუჩაში იყვნენ, პარლამენტში შევიდა. ეს ხელს უწყობს მრავალპარტიულობასაც, მით უფრო – საპარლამენტო რესპუბლიკაში.

ხუნდაძე, სუბარი და ყაველაშვილი მორიგ განცხადებას ავრცელებენ

– ევროკავშირის მიერ დადგენილი თითოეული პუნქტი, რადიკალური ოპოზიციის პერსპექტივიდან, რევოლუციური გეგმის 1/12 ნაწილად უნდა განვიხილოთ. ნაციონალური მოძრაობა და მათი პარტნიორები თანმიმდევრულად ეცდებიან, გეგმის თითოეული პუნქტი დეკემბრის ბოლოსთვის რევოლუციური სცენარის შესამზადებლად გამოიყენონ.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრების სოზარ სუბარის, მიხეილ ყაველაშვილისა და დიმიტრი ხუნდაძის ერთობლივი განცხადებაშია ნათქვამი.

მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე და სოზარ სუბარი დარწმუნებული არიან, რომ დეკემბერში მისაღები გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და წლის ბოლოს საქართველოს კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებს, თუმცა, „ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ ევროინტეგრაცია მისთვის მყარი პრიორიტეტია და მიზნის მისაღწევად სათანადოდ მუშაობს“.

„როგორც მოგეხსენებათ, პარასკევს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ შეიმუშავა და საზოგადოებას წარუდგინა კონკრეტული გეგმა ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულების შესახებ. გეგმაში დეტალურად არის ასახული რეფორმების განსახორციელებლად გადასადგმელი თითოეული ნაბიჯი, პასუხისმგებელი სუბიექტებისა და განხორციელების ბისგან სრულად დაცლილი საუბრები იმის შესახებ, რომ ხელისუფლების მიერ შეთავაზებული გეგმა მათთვის მიუღებელია და მის განხორციელებაში მონაწილეობას არ აპირებენ.

აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ კანდიდატის თემა მათთვის საინტერესო საერთოდ არაა, უფრო სწორად, მხოლოდ იმ კუთხითაა საინტერესო, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არც დეკემბერში მიენიჭოს. სწორად ამაში ხედავენ ისინი საკუთარ ერთადერთ შანსს, ქვეყანა, მათივე ტერმინით რომ ვთქვათ, „წალეკონ“, ანუ არეულობასა და ომში გახვიონ. გარდა ამისა, წარდგენილ გეგმაზე რადიკალური ოპოზიციის პირველივე რეაქციებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლებამ 12 პუნქტის შესრულებისას რაც არ უნდა გააკეთოს, როგორი ევროპული სტანდარტის შესაბამისი ცვლილებებიც არ უნდა განახორციელოს, ამ ძალისხმევას მას მაინც არავინ დაუფასებს და ჩაუთვლის. პირიქით, თითოეული პუნქტი გამოყენებული იქნება როგორც მორიგი საბაბი ქვეყანაში რევოლუციური სცენარის განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის მიერ დადგენილი თითოეული პუნქტი, რადიკალური ოპოზიციის პერსპექტივიდან, რევოლუციური გეგმის 1/12 ნაწილად უნდა განვიხილოთ. ნაციონალური მოძრაობა და მისი შიდა და გარე პარტნიორები თანმიმდევრულად ეცდებიან, გეგმის თითოეული პუნქტი დეკემბრის ბოლოსთვის რევოლუციური სცენარის შესამზადებლად გამოიყენონ.

მიუხედავად ჩვენი საფუძვლიანი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მიგვაჩნია, რომ საზოგადოებისთვის წარდგენილი გეგმის შესასრულებლად ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. დარწმუნებული ვართ, დეკემბერში მისაღები გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და წლის ბოლოს საქართველოს კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ ევროინტეგრაცია მისთვის მყარი პრიორიტეტია და მიზნის მისაღწევად, მის გასაკეთებელს სათანადოდ აკეთებს. ხელისუფლებამ, საზოგადოების ფართო ჩართულობით, უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც ობიექტურ შემფასებელს კანდიდატის სტატუსზე უარის თქმის საბაბსაც კი არ დაუტოვებს. დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ რადიკალურ ოპოზიციას რევოლუციის მოწყობის რესურსი არც ახლა აქვს და არც დეკემბერში ექნება. ქვეყნის არევას და ომში ჩათრევას ეს ადამიანები ვერ შეძლებენ. დარწმუნებული ვართ, ამაში თავის წვლილს ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯიც შეიტანს“, – ნათქვამია პარლამენტის წევრების განცხადებაში.

ბაჩო დოლიძე: „ყველაფერს რეალისტურად უნდა შევხედოთ“

– რუსთაველზე დავინახე ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერდნენ „ქართულ ოცნებას“. მათთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქართველოში არის საკითხები, რომლის ირგვლივაც ყველა ერთიანდება. პოლიტიკოსები ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ „საბანი ჩვენზე არ გადმოვწიოთ“.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა ბაჩო დოლიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

კითხვაზე, თუ რატომ არ იღებენ პოლიტიკოსები აქციის მიმდინარეობაში აქტიურ მონაწილეობას, დოლიძის შეფასებით, პოლიტიკოსებმა „ფალს სტარტი“ არ უნდა დაუშვან.

– ყველაფერს რეალისტურად უნდა შევხედოთ, ერთი ან ორი გამოსვლით ასეთი რეჟიმები არ იცვლებიან. ეს არის არა პოლიტიკურ-პარტიულ ჭრილში მყოფი საკითხი, არამედ საქვეყნო საკითხი. ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ და არ გადავაბრალოთ სამოქალაქო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც უძღვება აქციებს, ეს თითოეული ჩვენგანის ამოცანაა. რადიკალიზაცია მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ეხმარება იმ სიტუაციის გამყარებაში, რომელშიც არიან. არ დაგვავიწყდეს საერთაშორისო პარტნიორების ფაქტორი, რომლებიც ბოლო პერიოდში შემოტრიალებული არიან ოპოზიციის მხარეს. ჩვენში ხედავენ იმ ესტაფეტის გაგრძელებას, რომელსაც ჰქვია ევროინტეგრაცია.

პოლიტიკოსებმა „ფალს სტარტი“ არ უნდა დავუშვათ, ყველაფერს აქვს თავისი დრო და თავისი ფორმა. ჩვენ შორს არ ვართ პროცესებიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ინიციატივა დავუთმეთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. არავინ გამართავდა ჭიდაობას ტრიბუნაზე ასასვლელად. თუ ყველანი შევთანხმდებით, რომ ერთიანი ძალებით, ან პოლიტიკოსების ძალებით უნდა განხორციელდეს შემდეგი ნაბიჯები რა თქმა უნდა, ასე მოხდება. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ პროცესები სწორად მიმდინარეობს და პოლიტიკოსების მეტი აქტიურობა ამ პროცესს ავნებდა, – აღნიშნა ბაჩო დოლიძემ.

ბათუ ქუთელია: „უკრაინელებიც ევროკავშირის დროშის ქვეშ მიდიოდნენ ტყვიაზე, რომელსაც ავტორიტარი ესროდა“

– უკრაინელებიც ევროკავშირის დროშის ქვეშ მიდიოდნენ ტყვიაზე, რომელსაც ავტორიტარი ესროდა. საბედნიეროდ, ჩვენ ჯერ იქ არ ვართ, მაგრამ, თუ „ქართულ ოცნებას“ შერჩება ეს ძალაუფლება არაკანონიერად, შეიძლება ძალადობისა და აგრესიის უფრო მძიმე პროცესები ვიხილოთ.

ამის შესახებ „დროას“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბათუ ქუთელიამ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციიდან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „პოლიტ-ქალაქში“ ჩართვისას განაცხადა.

მისი თქმით, დღეს ხელისუფლებიდან „ქართული ოცნების“ გადადგომის მოთხოვნა კანონიერია, რომელსაც ევროკავშირის მხარდაჭერა ექნება.

– ევროკავშირი დგას დემოკრატიულ ფასეულობებზე, დემოკრატია დგას ხალხზე და ხალხის გამოხატულ ნებაზე. როდესაც 100 ათასობით ადამიანი ითხოვს მთავრობის გადადგომას, ეს არის ლეგიტიმური მოთხოვნა, შესაბამისად, ასეთ მოთხოვნას ექნება (ევროკავშირის) მხარდაჭერა. უკრაინელებიც ევროკავშირის დროშის ქვეშ მიდიოდნენ ტყვიაზე, რომელსაც ავტორიტარი ესროდა. საბედნიეროდ, ჩვენ ჯერ იქ არ ვართ, მაგრამ თუ „ქართულ ოცნებას“ შერჩება ეს ძალაუფლება არაკანონიერად, რომელიც მას მითვისებული აქვს, გაყალბებული არჩევნებით, შეიძლება ძალადობისა და აგრესიის უფრო მძიმე პროცესები ვიხილოთ, რომელიც სახეზეა. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი და ზოგადად, დემოკრატიული სამყაროს მხარდაჭერა ჩვენ მხარეზე არის, რადგან ეს არის დემოკრატიული მმართველობის საფუძველი, – განაცხადა ბათუ ქუთელიამ.

„სამოქალაქო სექტორი ხალხს გეგმას ვერ სთავაზობს“

გიგა ბუკია: „დასავლეთი დაიღალა საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების გაუთავებელი იწილობიწილოთი“.

მარიამ მჭედლიშვილი

თუ წლის ბოლომდე საქართველო შეასრულებს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ 12-პუნქტიან პროგრამას, უკრაინისა და მოლდოვის მსგავსად, გახდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. „ქართული ოცნება“ ქმნის სამუშაო ჯგუფებს 12 პუნქტის შესასრულებლად. სამოქალაქო სექტორი ოპოზიციასთან ერთად კვლავინდებურად უნდობლობას უცხადებს მთავრობას და მოქმედი მთავრობის ნაცვლად დროებითი ეროვნული თანხმობის მთავრობის ჩამოყალიბებას მოითხოვს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო „სირცხვილიას“ ორგანიზებით აქციები გრძელდება. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– „სირცხვილიას“ მიერ 3 ივლისიდან განახლებული საპროტესტო აქციები გრძელდება. მიმდინარე კვირაში აქტივობა ანონსდება. რას იტყვით?

– 3 ივლისს იყო ხალხმრავალი აქცია. იქ გამოჩნდა, რომ საზოგადოებას, რომელიც აქტიურად არის ჩართული მოძრაობის ორგანიზებაში და ოპოზიციას, რომელიც ასევე აქტიურია, არ გააჩნიათ მოქმედების გეგმა. ისეთი განცდა რჩება, რომ ყველაფერი აგებულია მხოლოდ და მხოლოდ ემოციებსა და შეძახილზე, შენ წადი, მე უნდა მოვიდეო.

– ხელისუფლების შემცვლელად ვინ მოიაზრება, ვისზე საუბრობთ?

– ოპოზიციაზეა საუბარი. საქართველოში ძალიან აირია ყველაფერი. საზოგადოება, სამოქალაქო სექტორი უნდა იყოს აქტიური, მაგრამ ის არ უნდა წარმოადგენდეს მხარეს. სამოქალაქო სექტორი მაშინაა ძლიერი და ეფექტური, როცა ნეიტრალური და სამართლიანია. ჩვენთან ასე არ არის. დიდი ხანია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. ენჯეოები გადაიქცნენ მხარედ. ბოლო დროსაც ისინი იქცევიან, როგორ პოლიტიკოსები, აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. პოლიტიკოსებს შეუძლიათ მოითხოვონ მთავრობის ან პრემიერის გადადგომა. როცა ამას ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მის უკან კი ოპოზიციონერები დგანან, ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია არაობიექტური და საეჭვო ხდება.

– აღნიშნეთ, მოქმედების გეგმა არა აქვთო. იქნებ არ ამხელენ?

– რას ჰქვია, არ ამხელენ?! 30 წელიწადზე მეტია, პოლიტიკაში ვარ. უამრავი მიტინგი, მსვლელობა გამომივლია და ასეთი რამ არ მინახავს და არ მახსენდება: მიტინგზე მისული ადამიანები იხვეწებოდნენ, გეგმა გვაცნობეთო. გეგმა ყოველთვის ყველას ჰქონდა – ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, შემდგომში – მათ, ვინც შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდიოდა და ა.შ. კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა ის, რაზეც ადრე ვლაპარაკობდი – ოპოზიციის არათანმიმდევრულობა. თქვენს მკითხველს ალბათ არ დაავიწყდებოდა, როგორ იქცეოდა ოპოზიცია ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ – ჯერ კატეგორიულად დაიჟინა, რომ პარლამენტში არ შევიდოდა. ამ გაჯიქებით ვერაფერს მიაღწია, ქვეყანასა და საკუთარ ამომრჩეველს კი ავნო. მოგვიანებით მაინც შევიდა პარლამენტში, მაგრამ თვალი ბოიკოტისკენ უჭირავს. ნაცმოძრაობა არ შეუერთდა მიშელის დოკუმენტს.

– ძალიან დაგვიანებით შეუერთდა.

– სამაგიეროდ, „ოცნება“ გამოვიდა ამ დოკუმენტიდან.

– მმართველმა გუნდმა დაიწყო მუშაობა სამუშაო ჯგუფების შექმნაზე, რომლებმაც უნდა განახორციელონ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება...

– კარგია, რომ დაიწყო, მაგრამ რას უშვრება პირველ პუნქტს?! მთავარი სწორედ ესაა. ევროპელი პარტნიორები მოგვიწოდებენ, ერთად დასხედით და დაამთავრეთ პოლიტიკური დაპირისპირებაო. ეს თუ არ იქნა, სხვას როგორ შეასრულებენ! დასავლეთი დაიღალა საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების გაუთავებელი იწილობიწილოთი. ხდება უცნაური მოვლენა, რომელიც დასავლეთში ვერ აუხსნიათ – ქართველი პოლიტიკოსები საზღვარგარეთ ვიზიტების დროს არიან სამაგალითოდ კონსტრუქციულები, დავარცხნილ-დაწყობილები, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი სახეს იცვლიან და ერთმანეთს უბათქუნებენ კიდეც.

„ხელისუფლება ძალაუფლებას ინარჩუნებს, მაგრამ – არასტაბილურობისა და სტრატეგიის უქონლობის პირობებში“

– ასეთ პირობებში დეპოლარიზაციის პირობის შესრულება გაუჭირდებათ?

– მთავარ პირობად, როგორც გითხარით, სწორედ ამას გვიყენებენ. არადა, პოლარიზაცია, დაძაბულობა აწყობს როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე – ნაციონალურ მოძრაობას. მმართველი პარტია ამით ინარჩუნებს ძალაუფლებას. ადრევე რომ დაესრულებინათ კონფლიქტები, გაეზიარებინათ მიშელის დოკუმენტის პუნქტები, ახლა სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა.

– ახლა მაინც არ უნდა დამთავრდეს პოლარიზაცია და რადიკალიზაცია?

– ოპოზიციას რომ ჭკუა ეხმარა, ვითარება შეიცვლებოდა. ოპოზიციას შეუძლია, უთხრას ხელისუფლებას, შენთან ვარ, რამდენიმე თვე ერთად ვიმუშაოთო. შესატანია ცვლილებები კონსტიტუციაში, შესაცვლელია მართლმსაჯულების სისტემა და ა.შ. თუ რამე არ გამოვიდოდა, ეს მკაფიოდ და უეჭველად იქნებოდა ხელისუფლების პასუხისმგებლობა. მაშინ „ქართული ოცნება“ სხვას ვერაფერს დააბრალებდა. მთავარია, მონდომება იყოს, თორემ სამ თვეში შეიძლება ამ პუნქტების შესრულება.

– დეოლიგარქიზაცია, როგორც ჩანს, იმაზე მეტ პიროვნებას შეეხება, ვიდრე ბევრს ჰგონია. საქართველოში მდიდარი ადამიანები წლებია ილტვიან ხელისუფლებისკენ. პარლამენტში მაჟორიტარებად ხშირად მოდიოდნენ ბიზნესმენები საკუთარი ქონების დასაცავად. ოლიგარქებმა შეაღწიეს პარტიებში?

– ამაზე ჩემი თვალსაზრისი მაქვს. უკრაინაში მიიღეს კანონი ოლიგარქების წინააღმდეგ. იქ ისიც ჩაწერეს, რამდენი უნდა ჰქონდეს ადამიანს ანგარიშებზე, რომ ოლიგარქად ჩაითვალოს. ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, რამდენი ფული გაქვს, მთავარია, არ იყო ერთპიროვნული მმართველი და ყველაფრის მაკონტროლებელი. მიხეილ სააკაშვილი იყო არათუ ერთპიროვნული მმართველი, არამედ, დიქტატორი. 2012-დან 2016 წლამდე ბიძინა ივანიშვილი სათავეში ედგა კოალიციას. მინდა, დაბეჯითებით გითხრათ, რომ ამ პერიოდში მას არ მიუღია ერთპიროვნული გადაწყვეტილებები. ის იმ წლებში არ ყოფილა ერთპიროვნული მმართველი. ჩვენ კოლექტიურად ვიღებდით გადაწყვეტილებებს. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილი იყო ლიდერი. ამის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ჩემი მოსაზრებით, ოლიგარქია ერთპიროვნული მმართველი.

– უახლოეს ხანში რას ელით, საპროტესტო მოძრაობა გაგრძელდება?

– ხალხმრავალი აქციების მოლოდინი არ მაქვს. აქციის ორგანიზატორებმა თუ ორატორებმა შეკრებილების ნდობა ვერ გაამართლეს, თავიანთ ფანატიკოსებსაც კი გაუცრუეს იმედი. ნეიტრალური ადამიანები აქციებს ისედაც არ შეუერთდებიან. არიან ხელისუფლებით უკმაყოფილო მოქალაქეები, რომლებსაც არ უნდათ ამ გზით ხელისუფლების შეცვლა. მეც მიმაჩნია, რომ ხელისუფლებები უნდა იცვლებოდნენ არჩევნებით და არა მიტინგებზე. ოპოზიცია სუსტია. ხელისუფლება ახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას, თუმცა მას მოსდის შეცდომები. შეიძლება, მომავალშიც შეცდეს. ხელისუფლება ძალაუფლებას ინარჩუნებს, მაგრამ – არასტაბილურობისა და სტრატეგიის უქონლობის პირობებში. არადა, ქვეყანაში სტაბილურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ვალდებულია, ჰქონდეს განვითარების გრძელვადიანი მყარი, მკაფიო გეგმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევალთ კრიზისში. ისედაც უმძიმესი ორი წელიწადი გამოვიარეთ – პანდემია, ეკონომიკური ვარდნა და ა.შ. საკმაოდ რთული პერიოდია და, ქვეყანა რომ წინ წავიდეს, საჭიროა სტაბილურობა.

„არავინ არ იფიქროს, რომ შავ-თეთრ ფოტოზე 19 წლის გოგონა დაიღალა“

მარი მახარაძის ემოციური მიმართვა

9 აპრილის აქციების მონაწილე მარი (ნანა) მახარაძემ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოქალაქეებს ემოციური სიტყვით მიმართა.

„არავინ არ იფიქროს, არ გაბედოთ, რომ შავ-თეთრ ფოტოზე 19 წლის გოგონა დაიღალა“, – თქვა ქალმა, რომლის ფოტო 9 აპრილის ერთ-ერთი სიმბოლოა.

მახარაძემ პოლიტიკოსებს მიმართა:

– ჩვენი ქვეყანა არაა მხოლოდ მანძილი საზღვრიდან საზღვრამდე, რომელსაც ოკუპანტი ყოველდღე ნაბიჯ-ნაბიჯ გვართმევს, არც ქართველი ხალხის საცდელი ნაცია. ეს არის ქვეყანა, სადაც სულით მდიდარი, გახსნილი, ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობენ. ჩვენ გვინდა დალაგებულ, თავისუფალ, მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება, – ამბობს 9 აპრილის გმირი.

მისი თქმით, ქართველი ხალხის მოთხოვნაა, ჰქონდეს ევროპული ტიპის სახელმწიფო, სადაც თითოეული ინდივიდი იქნება პრიორიტეტი:

– ადამიანებს მოგვბეზრდა თქვენი ერთმანეთზე გადაბრალების რეჟიმის მოსმენა, ერთ წრეზე ბრუნვა. ჩვენ გვქონდეს არა მხოლოდ სამშობლო, არამედ ევროპული ტიპის სახელმწიფო, სადაც თითოეული ინდივიდი იქნება პრიორიტეტი, შესაბამისი ჯანდაცვის, განათლების, შრომითი კოდექსის, თავისუფალი სასამართლოს და დემოკრატიის ხარისხით. ქართველი ხალხი არ იმსახურებს თმენის რეჟიმში ცხოვრებას, – თქვა მან.

მარი (ნანა) მახარაძე აღნიშნავს, რომ საქართველო საკუთარი იდენტობით, ერთიანობით, თავისუფლებით, პროგრესულობით და მშვიდობით შეძლებს ევროპული კარების გაღებას.

– ომი გინდათ ძახილი, სამხედრო პროპაგანდა, ყველა ტყუილი და სიძულვილი მოდის იმ ადამიანებისგან, რომლებიც არასდროს წავლენ ომში, რადგან მათ ეშინიათ. დიახ, ეშინიათ თავისუფლების, რადგან მშვიდობა სწორედ იქ არის, სადაც არის თავისუფლება. ჩემს თაობას არ ეშინოდა 9 აპრილს. არც თავისუფალ საქართველოში დაბადებულ ფერად თაობას ეშინია. იმ თაობას, ვინც ჩვენი ქვეყანა უნდა ჩაიბაროს დღეს, – დასძინა მან.

დაბადების დღეს გილოცავთ, ამერიკა!

აშშ-ის საელჩო განცხადებას ავრცელებს

4 ივლისს შეერთებულ შტატებში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით აშშ-ის საელჩო საქართველოში განცხადებას ავრცელებს.

„დღეს აღვნიშნავთ შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეს. „უფრო სრულყოფილი კავშირისკენ“ სწრაფვის 246 წელი ნიშნავს, რომ დემოკრატიისთვის საჭირო რთული სამუშაო არასდროს სრულდება და, რომ ქვეყნებმა ყოველთვის უნდა იძიონ თავიანთი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გზები.

დაბადების დღეს გილოცავთ, ამერიკა!“ – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

სალომე ზურაბიშვილი განცხადებას ავრცელებს

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ერთი რამ ნიშანდობლივია ამ ვნებათაღელვის ფონზე: ყველამ, პოზიციამ თუ ოპოზიციამ, აიტაცა და აღიარა ეროვნული თანხმობის აუცილებლობა (რაზედაც ცოტა ხნის წინ ყველა მედავებოდა, ასეთი რამ შეუძლებელიაო).

თუმცა გამოცხადებულ გეგმებს – კობახიძისეულს („თავისუფლად ანტიევროპულად მოსაუბრე“ ტრიუმვირატის შექმნისთანავე ევრორეკომენდაციების შესრულების ერთპარტიული გეგმა) თუ რადიკალური ოპოზიციის არახალი „გადადექი და მე გადმოვდგები“ გეგმა – არაფერი საერთო აქვთ არც ნამდვილ ეროვნულ თანხმობასთან და არც ევროპის კანდიდატურის მიღებისათვის აუცილებელ სამოქმედო გეგმასთან.

ხალხის ევროპული სულისკვეთების გამოხატვა დიდი ძალაა და ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავს. მას არ უნდა, შეეცვალოს გეზი.

ჩვენ, ყველანი კი, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია, ვალდებული ვართ, საზოგადოების მოლოდინს ვუპასუხოთ საქმით და სამოქმედო გეგმის ირგვლივ ჩამოყალიბებული რეალური და არა სიტყვიერი ეროვნული თანხმობით! და გამოჩნდება, ვის რა უნდა: ევროპა თუ ძალაუფლება!“ – აცხადებს პრეზიდენტი.

საქართველოდან რუსეთში შამპანურის ექსპორტი 150%-მდე გაიზარდა

იმ დროს, როდესაც მსოფლიოდან რუსეთში ცქრიალა ღვინის იმპორტის მოცულობა მცირდება, საქართველოდან შამპანურის ექსპორტი იზრდება.

საქსტატის მონაცემებით, წელს 5 თვეში რუსეთში 299,4 ათასი დოლარის ღირებულების ქართული ცქრიალა ღვინის ექსპორტი განხორციელდა, ეს კი 147%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან იანვარ-მაისში რუსეთში შამპანურის ადგილობრივმა ექსპორტმა 121,1 ათასი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წელს რუსეთში იმაზე მეტი ცქრიალა ღვინის ექსპორტი განხორციელდა, ვიდრე პანდემიამდელ 2019 წელს. მაშინ ჩრდილოეთ მეზობელ ქვეყანაში 151,1 ათასი დოლარის შამპანური გაიყიდა.

რაც შეეხება მთლიან მაჩვენებელს, 2022 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან უცხოეთში 757,2 ათასი დოლარის ღირებულების ცქრიალა ღვინის ექსპორტი (ადგილობრივი ექსპორტი) განხორციელდა. შედეგად გამოდის, რომ ქართული შამპანურის ექსპორტის 39,5% სწორედ რუსეთზე მოდის.

2 მილიონი დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაული გამოვლინდა

საქართველოს გენერალური პროკურატურაში ჩატარებული კომპლექსური გამოძიების შედეგად 2 მილიონი დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაული გამოვლინდა.

პროკურატურის ცნობით, სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი ფიზიკური და სამი იურიდიული პირის მიმართ არის დაწყებული.

„გამოძიებით დადგენილია, რომ აშშ-ში რეგისტრირებული საწარმოს მფლობელმა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა, ე.წ. მაღალი რეპუტაციის მქონე იურიდიული პირის სახელით, ჰონგ-კონგში მოქმედი კომპანიის დირექტორთან კომუნიკაცია დაამყარეს და იგი საყოველთაოდ ცნობილი საწარმოების აქციების შეძენის გზით, მომგებიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობაში დაარწმუნეს.

აღნიშნულის შედეგად, დაზარალებული კომპანიის საბანკო ანგარიშიდან აშშ-ში, მართლსაწინააღმდეგო მიზნით დაფუძნებული საწარმოს საბანკო ანგარიშზე გადარიცხულ 13.329.181.71 დოლარს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ.

შემდგომში, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხები დაანაწევრეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადარიცხეს. მათ შორის, 1.906.263.7 დოლარი ფიქტიური დანიშნულებითა და ყალბი დოკუმენტების გამოყენებით საქართველოში, ბრალდებულის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული სამი საწარმოს და მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე გადმოირიცხა.

აღნიშნული ქმედებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაახლოებით 2.000.000 დოლარის გათეთრება მოახდინეს.

გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ, დანაშაულებრივი წარმომავლობის თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ყადაღა დაედო. დაყადაღებული, დანაშაულებრივი თანხის ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

ბრალდებული ფიზიკური პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფურად ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაიწყო, რასაც თან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება ახლდა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იურიდიული პირების მიმართ წარდგენილი ბრალდება ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას გულისხმობს, რასაც თან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება ახლდა, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევასა და ჯარიმას ითვალისწინებს.

ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას და საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბოლნისის სასამართლომ ეპარქიის დაფინანსება ბათილად ცნო

ბოლნისის საქალაქო სასამართლომ, ადგილობრივი მერიის მხრიდან, ჰუჯაბისა და მარნეულის ეპარქიის დაფინანსება გააუქმა.

მოსამართლემ თითქმის 2-წლიანი დავის შემდეგ დააკმაყოფილა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსა და სამოქალაქო აქტივისტ სამირა ბაირამოვას სარჩელი.

სასამართლომ ბათილად ცნო და დისკრიმინაციად მიიჩნია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ადგილობრივი ეპარქიის დაფინანსება.

ჰუჯაბისა და მარნეულის ეპარქია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 400.000 ლარის ოდენობით ფინანსდებოდა, ხოლო სხვა რელიგიური ორგანიზაციები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა წარმოადგენს, საერთოდ ვერ იღებდა დაფინანსებას.

სამირა ბაირამოვამ მარნეულის მერიის წინააღმდეგ სარჩელი დისკრიმინაციული მიდგომის მოტივით შეიტანა. ამბობს, რომ იმის გამო, რომ ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისედაც ფინანსდება, ამიტომაც დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტით აღარ უნდა დაფინანსებულიყო. მისივე თქმით, ჯობია რასაც ეკლესიას ადგილობრივი ბიუჯეტიდან აძლევენ, ეს თანხა სხვა ადამიანებზე დაიხარჯოს, მაგალითად, შშმ პირებზე.

„დღეს გავიგეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ ბოლნისის საქალაქო სასამართლოსგან.

სასამართლომ ბათილად ცნო და დისკრიმინაციად მიიჩნია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ადგილობრივი ეპარქიის დაფინანსება.

ამ წელს (ისევე, როგორც წინა წლებში) ჰუჯაბისა და მარნეულის ეპარქია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებდა დაფინანსებას 400.000 ლარის ოდენობით. სხვა რელიგიური ორგანიზაციები კი, მათ შორის, ისლამური ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ საერთოდ არ იღებდნენ დაფინანსებას.

ალბათ კარგად გახსოვთ, რომ ჩვენს ამ სასამართლო დავას, რომელიც 2019 წელს დავიწყეთ, დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა ადგილობრივი ეპარქიის მხრიდან და იყო უპასუხისმგებლო კამპანია, თითქოს ჩვენ ვასაჩივრებთ მარნეულის სოფლებში ჯვრების აღმართვას, რაც იმთავითვე ავხსენით, რომ დაუსაბუთებელი პროვოკაცია იყო სარჩელის და ჩვენ წინააღმდეგ.

ჩვენი მიზანია, რომ საჯარო რესურსები სეკულარული საჯარო მიზნებისთვის იხარჯებოდეს და სახელმწიფო პოლიტიკა გათავისუფლდეს რელიგიურ ორგანიზაციებს და ჯგუფებს შორის იერარქიზებისა და უთანასწორობისგან.

ამ გადაწყვეტილებას, ვფიქრობ, პრეცედენტული მნიშვნელობა ექნება სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი დისკრიმინაციული და არასეკულარული პრაქტიკების აღმოფხვრისთვის.

როგორც იცით, საბიუჯეტო დაფინანსების მიღმა, საპატრიარქო სარეზერვო ფონდებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობების ისედაც მცირე ბიუჯეტებიდან ხშირად იღებს დამატებით დაფინანსებებს (წლიურად თვითმმართველობებიდან დაფინანსება 3-4 მილიონს აღწევს ხოლმე). ცხადია, რომ ამგვარ პრაქტიკას იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები ცხოვრობენ, დამატებითი სოციალური და კულტურული უსამართლობების კონტექსტი აქვს. ასეა მარნეულის მუნიციპალიტეტშიც.

სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტი როგორც კი გვექნება, უფრო ვრცელ შეფასებებს შემოგთავაზებთ“, – წერს ფეისბუქში თამთა მიქელაძე, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ დირექტორი.

პოლიციამ „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე 17 პირი დააკავა

პოლიციამ „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე 17 პირი დააკავა.

აქციის მონაწილეები „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში დაანონსებულ ღონისძიებებს აპროტესტებდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 17 პირი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად დააკავეს, რაც პოლიციელის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პრაიდ კვირეულის მოწინააღმდეგე ჯგუფებს მოუწოდებს დაიცვან კანონი, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, არ გასცდნენ კანონით დასაშვებ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას.

„თბილისში პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია პრაიდის მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქცია, ასევე, პარალელურად ერთ-ერთ იზოლირებულ სივრცეში იგეგმება პრაიდ კვირეულის დასკვნითი, დახურული ღონისძიება.

პრაიდის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი დახურული ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აგრძელებენ კომუნიკაციას აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორებთან, ასევე გამოხატვის თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად ტარდება პრევენციული ღონისძიებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ყველა თავშეყრის ადგილებზე უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე და მოვლენების ხელოვნურად ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, მობილიზებულები იქნებიან და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაიცავენ.

მოვუწოდებთ მედიის წარმომადგენლებს, მოვლენების გაშუქებისას, საჭიროების შემთხვევაში, კოორდინაციაში იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის თანამშრომლებთან და უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე დაემორჩილონ სამართალდამცველთა მითითებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას და მოუწოდებს პრაიდ კვირეულის მოწინააღმდეგე ჯგუფებს დაიცვან კანონი, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, არ გასცდნენ კანონით დასაშვებ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი პოლიციის მიერ დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი და მკაცრი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

მიმდინარე წლის 1-ელ ივლისს „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ და მოახდინეს ფესტივალის ადგილზე მისასვლელი გზების პარალიზება, მოძრაობის ხელოვნური შეფერხება, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ადგილზე მოუწოდეს მათ გაეთავისუფლებინათ გზის სავალი ნაწილი. პოლიციამ აქციის მონაწილეებს, ასევე მიუთითა პროტესტი განეგრძოთ ისეთ ადგილზე, სადაც ხელს არ შეუშლიდნენ და არ დაარღვევდნენ სხვა მოქალაქეთა უფლებებს. გვიან ღამით, სამინისტროს მხრიდან ადგილზე გაკეთებული გაფრთხილების მიუხედავად, შეკრებილები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას და სამართალდამცველებს გაუწიეს წინააღმდეგობა. შესაბამისად, პოლიციამ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული პროპორციული ძალა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე 26 პირი დააკავა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ლევან კაჭარავას მკვლელობა

კიდევ ერთი გახმაურებული საქმე, რომელსაც თაროზე შემოდების პერსპექტივა აქვს. ბიზნესმენ ლევან კაჭარავას მკვლელობიდან ერთი კვირა გავიდა, თუმცა პოლიციას თავდამსხმელები იდენტიფიცირებულიც კი არ ჰყავს.

სამართალდამცავებმა არ იციან, ვინ იყვნენ ის პირები, რომლებმაც კაჭარავას 20 ტყვია ესროლეს. მოწმეთა ჩვენებებით მხოლოდ ისაა დადგენილი, რომ ბიზნესმენს 2 პირი ესროდა. ისინი ნიღბის გარეშე იყვნენ და თავდასხმისას კაჭარავას ქართულად აგინებდნენ.

მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე პოლიცია ახლა ფოტორობოტის შექმნას ცდილობს, თუმცა, დიდი ალბათობით, დამნაშავეები ქვეყანაში აღარ იმყოფებიან.

მარნეულში მამაკაცი მოკლეს

მარნეულში მამაკაცი მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, სასიკვდილო ჭრილობა მამაკაცს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვს მიყენებული.

შემთხვევა 3 ივლისს მოხდა.

შემთხვევა რიტუალების დარბაზის ეზოში, დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის მოხდა. დაპირისპირებაში 2 პირი მონაწილეობდა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცი საკუთარი მანქანის წინ ჩაცხრილეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, თავდამსხმელმა იარაღიდან დაახლოებით 7-ჯერ გაისროლა.

მოკლულს რამდენიმე ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნება. ის სასწრაფომ „ავერსის“ კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, თავდამსხმელი ადგილიდან მიიმალა, თუმცა გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღი შემთხვევის ადგილზე დარჩა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია ორი მუხლით, კერძოდ: 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს, ასევე 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

პოლიციელის მიერ მოქალაქის დაჭრა წალენჯიხაში

ახალი დეტალები

პოლიციელის მიერ მოქალაქის დაჭრა წალენჯიხაში – „მთავარმა არხმა“ ახალი დეტალები გაარკვია.

ცნობილი ხდება, რომ მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება სუფრაზე დაიწყო და ის წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდებოდა. ოჯახის ახლობლები ამბობენ, რომ დაახლოებით 5 წლის წინ „ამ პოლიციელმა, გ.კ.-მ, იარაღი ჩაუდო მოქალაქეს, რომელიც გუშინ დაჭრილის მეგობარია“.

ცნობილია ისიც, რომ პოლიციელი გარჩევის ადგილას ნიღბით, ხელთათმანებითა და რუსული სანომრე ნიშნების მქონე მანქანით მივიდა და მოქალაქეს 5 ტყვია ესროლა, საიდანაც დაშავებულს ფეხის არეში 2 ტყვია მოხვდა და სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

დაჭრილი ოპერაციის დაწყებამდე ამბობდა, რომ გამოძიებასთან არ ითანამშრომლებდა და შურისძიების მოტივზე საუბრობდა.

ადგილობრივები ყვებიან, რომ ორივე ოჯახი „ქართულ ოცნებასთანაა“ დაკავშირებული და ვარაუდობენ, რომ საქმეს ამის გამო სრულფასოვნად არ გამოიძიებენ.

„ნინო სახლში მიდიოდა, მაგრამ შვილებთან ვერ მიაღწია“

2 ივლისს, ღამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ქალი 41 წლის ნინო ნანუაშვილია. ნანუაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის მკვიდრია.

– არსად მუშაობდა, დიასახლისი იყო. საუკეთესო ადამიანი, მეგობარი და დედა. ორ შვილს ზრდიდა. ვერ წარმოგვიდგენია მის გარეშე. თავზარი დაგვცა ამ ტრაგედიამ. ადამიანი სახლში მოდიოდა და შვილებთან ვეღარ მოაღწია. ისე უყვარდა სიცოცხლე, წარმოუდგენელია, რომ აღარ იქნება, – ამბობენ სოფელ კაკაბეთში.

გარდაცვლილ ქალს ორი არასრულწლოვანი, 17 წლის ვაჟი და 12 წლის გოგონა დარჩა. ავტოსაგზაო შემთხვევა გვიან ღამით სოფელ მანავში მოხდა.

სატვირთო ავტომანქანა მინივენს შეეჯახა, რომელშიც რამდენიმე მგზავრი იმყოფებოდა. ადგილზე გარდაიცვალა ერთი და დაშავდა სამი ადამიანი.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

ზელენსკი: „უკრაინა არაფერს თმობს, ყველა ტერიტორიაზე დავბრუნდებით“

ოკუპანტებს შეუძლიათ, ყოველდღიურად გამოიყენონ ათიათასობით საარტილერიო ჭურვი ფრონტის ერთ მონაკვეთზე. ეს არის რეალობა, ამიტომ ვანგრევთ ოკუპანტების პოტენციალს და, რა თქმა უნდა, ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს „ჰიმარსის“ სარაკეტო სისტემები და სხვა იარაღი, რომლებიც პარტნიორებისგან მივიღეთ.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინა არაფერს თმობს და თანდათან წინ მიიწევს ხარკოვის რეგიონში, ხერსონის რეგიონსა და ზღვაზე.

– თუ ჩვენი არმიის სარდლობას გაჰყავს ხალხი ფრონტის გარკვეული წერტილებიდან, სადაც მტერს აქვს უდიდესი საცეცხლე უპირატესობა, კერძოდ, ეს ეხება ლისიჩანსკს, ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ტაქტიკის წყალობით, თანამედროვე იარაღის მოწოდების გაზრდის წყალობით.

უკრაინა არაფერს თმობს. როდესაც ვინმე იქ, მოსკოვში, რაიმე ინფორმაციას ავრცელებს ლუგანსკის რეგიონის შესახებ, დაე, გაიხსენოს მათი დაპირებები 24 თებერვლამდე, ამ შემოჭრის პირველ დღეებში, გაზაფხულზე და ახლა. დაე, რეალურად შეაფასონ, რა მიიღეს ამ დროის განმავლობაში და რამდენი გადაიხადეს ამისთვის. ჩვენ თანდათან წინ მივდივართ – ხარკოვის რეგიონში, ხერსონის რეგიონსა და ზღვაზე: „ზმეინი“ ამის კარგი მაგალითია. დადგება დღე, როცა იმავეს ვიტყვით დონბასზე, – განაცხადა ზელენსკიმ.

უზბეკეთში მშვიდობიანი მოქალაქეები და სამართალდამცავები დაიღუპნენ

უზბეკეთის პრეზიდენტ შავქათ მირზიოევის თქმით, ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლების შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები და სამართალდამცავები დაიღუპნენ.

თავის მხრივ, ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, დაღუპულია, სულ მცირე, 5 ადამიანი.

ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა უზბეკეთის საინფორმაციო ვებგვერდს განუცხადა, რომ ათასობით ადამიანი ჰოსპიტალიზებულია.

როგორც „როიტერსი“ წერს, გავრცელებულ განცხადებაში მირზიოევმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებმა ქალაქ ნუკუსში „დესტრუქციული მოქმედებები“ ქვების სროლით, ხანძრის გაჩენითა და პოლიციაზე თავდასხმით განახორციელეს.

კოპენჰაგენში სავაჭრო ცენტრში რამდენიმე ადამიანი მოკლეს

დანიის პოლიციის ინფორმაციით, კოპენჰაგენის სავაჭრო ცენტრში რამდენიმე ადამიანი მოკლეს.

ამის შესახებ სიენენი იუწყება.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, ფილდ მეილში სროლასთან დაკავშირებით ერთი ადამიანი დააკავეს.

მომხდარის სხვა დეტალები არ ვრცელდება.

იტალიაში ზვავის ჩამოწოლის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე, ექვსი ადამიანი დაიღუპა იტალიის ალპებში რეკორდულად მაღალი ტემპერატურის გამო მყინვარის ჩამოშლის შედეგად. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

ზვავი მარმოლადეს მთიდან ჩამოწვა, რომლის სიმაღლე 3.300 მეტრზე მეტია და აღმოსავლეთ იტალიის ალპებში, ტრენტოსა და ვენეტოს რეგიონებს შორის მდებარეობს.

ნგრევის შედეგად რვა ადამიანი დაშავდა, ათამდე კი დაკარგულად ითვლება.

დაჭრილები ბელუნოს, ტრევიზოს, ტრენტოსა და ბოლზანოს ახლომდებარე საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, იტალიაში ზაფხულის დასაწყისში სიცხის გამო შაბათს მარმოლადაში ტემპერატურამ 10 გრადუს ცელსიუსს მიაღწია.

სიდნეიში წყალდიდობის გამო მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია მიმდინარეობს

ავსტრალიის უდიდეს ქალაქ სიდნეიში კოკისპირული წვიმისა და წყალდიდობის გამო საკუთარი სახლებიდან ათობით ათასი მცხოვრების ევაკუაცია მიმდინარეობს.

– ეს არის სიცოცხლისთვის საშიში საგანგებო სიტუაცია. ჩვენ ახლა მრავალ ფრონტზე საფრთხის წინაშე ვდგავართ – წყალდიდობა, მდინარეების ადიდება და სანაპირო ზოლის ეროზია, – განაცხადა ახალი სამხრეთ უელსის შტატის საგანგებო სიტუაციების მინისტრმა სტეფანი კუკმა. მისივე თქმით, მხოლოდ ბოლო 24 საათის განმავლობაში საგანგებო სიტუაციების სამსახურმა სტიქიას 83 ადამიანი გადაარჩინა.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ავსტრალიაში წყალდიდობასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობა კლიმატის ცვლილებამ და ლა-ნინიას კლიმატურმა ფენომენმა გააუარესა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ქალაქის მერმა ნიანგზე იქორწინა

მექსიკის ოახაკას შტატის ქალაქ სან-პედრო-უამელულას მერმა ვიქტორ უგო სოსამ ნიანგზე იქორწინა.

სოსა და მისი რჩეული, შვიდი წლის რეპტილია, სახელად პატარა პრინცესა, ტრადიციულ საქორწინო სამოსში იყვნენ გამოწყობილი. ქალაქის მცხოვრებლებმა დიდი ზარ-ზეიმი გამართეს მუსიკისა და ცეკვა-თამაშის თანხლებით. სიძემ პატარძალი ქალაქის ქუჩებში ხელში აყვანილი ჩამოატარა, მამაკაცები მათ ქუდების ქნევით ხვდებოდნენ. ქორწილის შემდეგ სოსამ პატარძალს აკოცა და მასთან ერთად იცეკვა. აღსანიშნავია, რომ მთელი ცერემონიის დროს ნიანგს პირი აკრული ჰქონდა, რათა სიძე არ დაზიანებულიყო.

– უზომოდ ბედნიერი ვარ და ჩემი ფესვები მეამაყება. ეს მეტად ლამაზი ტრადიციაა, – განაცხადა ელია ედიტ აგილერმა, რომელიც ნიანგის მეჯვარე და ღონისძიების ორგანიზატორი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფეხბურთის გენია, რომელიც მწვერვალზე დიდხანს ვერ გაჩერდა

ფეხბურთი ოცნების თამაშია, კოშმარითა და რეალობით გარშემორტყმული. მარკო ვან ბასტენი მაღალ სიმაღლეზე მდგომი ფეხბურთელი იყო, რომელიც იმედებს ყველაზე მეტად ამართლებდა. 80 და 90-იანი წლების უდიდესი ტალანტი, რომლის კარიერაც დაწყევლილი კოჭის გამო 31 წლის ასაკში შეწყდა. ეს ოფიციალურად, თორემ ფეხბურთს თავი, ფაქტობრივად, 28 წლისამ დაანება.

მილანის ვარსკვლავი კარიერის დასრულებამდე სახელით მოედანზე ვერ გავიდა. ფეხბურთიდან წასვლამდე ჯიუტად ცდილობდა დაბრუნებას და თავისი დიდებული მომენტების კიდევ ერთხელ გამეორებას.

სამწუხაროდ, ვან ბასტენი მოედანზე არასდროს დაბრუნებულა და ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ მწარე შეგრძნება.

ჯადოქრის პირველი გაბრწყინება მის სამშობლოში შედგა, სადაც აიაქსის მაისურით დანარჩენი ნიდერლანდური გუნდები გაანადგურა. ვან ბასტენმა, ნიდერლანდურ გიგანტებთან ერთად, ლიგის 3 ტიტული მოიგო, 133 მატჩში 128 გოლი გაიტანა და რეკორდიც დაამყარა.

შეტევაში თავს კომფორტულად გრძნობდა. 1.88 მეტრის თავდამსხმელი ფიზიკური მონაცემებით და ტექნიკით დომინირებდა. ფეხებში ნამდვილად მაგია ჰქონდა. დაჯილდოებული იყო დიდებულებითა და ოსტატობით. შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც სურდა. ამ ყველაფერმა კი უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა დააწყებინა.

ნიდერლანდელმა პირველად თავისი დიდებულება 1986 წელს დენ ბოსხის კარში გატანილი მაკრატელა დარტყმით დაამტკიცა.

საკმარისი იყო იტალიური გრანდის, მილანის, დარწმუნება და 1987 წელს სერია ა-ში აღმოჩნდა. ეს იყო ისტორია, რომელიც მათ სამუდამოდ შეცვლიდა და ასეც აღმოჩნდა. მარკო მყისიერად მოერგო გუნდსაც და ლიგასაც. მისთვის იტალიური ფეხბურთი უცხო იყო, მაგრამ ვან ბასტენისთვის შეუძლებელი არაფერი გახლდათ. სამწუხაროდ, კოჭის პრობლემა სწორედ აქ გამოჩნდა.

ძლიერი ფეხბურთელის შესაჩერებლად ძლიერი დაბრკოლებებია საჭირო. ვან ბასტენი 1988-89 წლებში იტალიის საუკეთესო ლიგაში „დაფრინავდა“ – 33 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა და მილანს დაეხმარა, რათა ევროპული ფეხბურთის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო. იმ წელს ჩემპიონთა თასიც მოიგეს. ვან ბასტენმა კი ფინალში სტიაუას 2-ჯერ გაუტანა, რომელიც 4:0 მოიგეს.

იმავე წელს ნიდერლანდების ნაკრებმა ერთი ამოსუნთქვით მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხეს, ხოლო ვან ბასტენის მიერ დასაევის კარში გატანილი გოლი დღესაც კი სიამოვნებას ჰგვრის მნახველს.

1989-90 წლებში სერია ა-ში 26 მატჩში 19 გოლი გაიტანა. იმდენივე, რამდენიც წინა სეზონში, მაგრამ 7-ით ნაკლებ მატჩში. თანამემამულე ფრენ რაიკაარდთან და რუუდ გულიტთან ერთად, ვან ბასტენმა იტალიურ ფეხბურთში რევოლუცია მოახდინა. მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბენფიკა დაამარცხეს, ანგარიშით 1:0 და მილანს კიდევ ერთი ტიტული შემატეს. ევროპამ ნიდერლენადელების სტილი ყველაზე სანახაობრივად აღიარა.

ვან ბასტენის შესანიშნავი თამაში ნიდერლანდების ნაკრებსა და მილანში 2 „ოქროს ბურთით“ (1988 და 1989) შეფასდა. ის მეტოქეს შეუდარებელი გენიით უტევდა.

ამის მთავარი მიზეზი ვან ბასტენი გახლდათ, რომელიც „როსონერის“ ევროპული ფეხბურთის დომინირებაში დაეხმარა. 1992 წლის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა და „კაპოკანონიერის“ ჯილდოც მოიპოვა. მან 31 მატჩში 25-ჯერ შეარხია ბადე.

სამწუხაროდ, ბედნიერი ზღაპარი აქ მთავრდება. ვან ბასტენის კარიერაში თავს ისევ ტრავმა იჩენს, რის გამოც 1992-93 წლების სეზონში მხოლოდ რამდენიმე მატჩის ჩატარების შესაძლებლობა მისცა. შემდეგ კი ჰოლანდიელმა ჯადოქარმა 1993-95 წლებში მოედანზე გასვლა ვეღარ შეძლო.

ვან ბასტენს ჰქონდა შესაძლებლობა, მეტოქისთვის ზიანი ჰაერიდან, მიწიდან, ახლო თუ შორი დისტანციიდან მიეყენებინა, რაც მას შეუჩერებელს ხდიდა. გოლის გატანა ნებისმიერი წერტილიდან შეეძლო და სწორედ ეს მას სრულყოფილ თავდამსხმელად აყალიბებდა.

წყეული 24 თვის გასვლის შემდეგ დაბრუნებას ცდილობდა. კოჭზე 3 ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ვეღარ შეძლო იქ დაბრუნება, სადაც რეალურად უნდა ყოფილიყო. ეს ადგილი მხოლოდ მას, ლეგენდარულ ვან ბასტენს ეკუთვნოდა.

მილანის ლეგენდამ „როსონერის“ გულშემატკივრებს დაუსრულებელი ოცნება მისცა მაშინ, როდესაც ყველანაირი იმედი გაქრა. მან გამძლეობა გამოავლინა, ცდილობდა გაღიმებას, მაგრამ დასასრული ნაადრევად მოვიდა. ის ავიდა მწვერვალზე, მაგრამ დიდხანს ვერ გაჩერდა...

მოამზადა მახეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ზვიგენი გოგონას თავს დაესხა და ფეხი მოაგლიჯა

აშშ-ში ზვიგენი გოგონას, რომელიც ოკეანეში ნაპირთან ახლოს ბანაობდა, თავს დაესხა და ფეხი მოაგლიჯა.

აღნიშნული ინციდენტი ფლორიდის შტატის კიტონ-ბიჩის დასახლებასთან მოხდა. გოგონა ნაპირის მახლობლად ზღვის მცენარეებს აგროვებდა, როდესაც მტაცებელი თევზი მას თავს დაესხა. გოგონას ერთ-ერთი ნათესავი, რომელიც თავდასხმის თვითმხილველი გახდა, დაუყოვნებლივ წყალში გადაეშვა და ზვიგენს მუშტები დაუშინა. შედეგად მტაცებელმა გოგონას თავი ანება და გაეცალა.

დაშავებული გოგონა დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გოგონას ფეხის გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა და მისი ამპუტაციის გადაწყვეტილება მიიღეს. ამ დროისთვის გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ფოტოგრაფმა მოდელი ტყეში შეიტყუა, შიშველი ხეზე მიაბა და მოკლა

იაპონიაში ფოტოგრაფმა მოდელი ტყეში შეიტყუა და მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.

23 წლის რინა არანო ტოკიოში ცხოვრობდა, სამედიცინო კოლეჯში სწავლობდა და დამატებით შემოსავალს მოდელად მუშაობით გამოიმუშავებდა.

– მე ყოველთვის გრძელ კაბებს ვატარებ და ისეთი მაღალი ხმა მაქვს, როგორიც ანიმაციური ფილმების პერსონაჟებს, – წერდა საკუთარ გვერდზე გოგონა.

რინა არანო 5 ივნისს დაიკარგა, ხოლო სამი დღის შემდეგ მისმა ნათესავებმა განცხადებით პოლიციას მიმართეს.

თითქმის ორი კვირის შემდეგ არანოს ცხედარი იბარაკის პრეფექტურაში, ტყეში იპოვეს. გოგონა გაშიშვლებული და ხეზე მიბმული ნახეს. მისი დაღუპვის ოფიციალური მიზეზი ჯერჯერობით არ დასახელებულა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაღუპულს ყელზე ძალადობის კვალი აღენიშნება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის გაგუდეს.

მალე პოლიციამ დააპატიმრა 33 წლის ხიროიუკი სანპეი. ის ეჭვმიტანილია იმაში, რომ მას გოგონა დაკავებული ჰყავდა თავის სახლში ქალაქგარეთ, რომელიც ქალაქ ხიტატიოტას მახლობლად მდებარეობს. როგორც გოგონას ახლობლებმა განაცხადეს, მათ ერთმანეთი სოციალურ ქსელში გაიცნეს. სანპეი ვითომდა ფოტოგრაფიით იყო გატაცებული და გოგონა სურათების გადასაღებად მიიწვია.

მამაკაცის სმარტფონში აღმოაჩინეს არანოსთან მიმოწერა და მისი ფოტოსურათები, რომლებზეც ის ხელბორკილებითაა გადაღებული. სანპეი ამტკიცებს, რომ ეს ფოტოსურათები ფოტოსესიის ფარგლებშია გადაღებული და რომელიც თავად მოდელის თანხმობით მიმდინარეობდა. ის ასევე აცხადებს, რომ მართლაც ჩაისვა არანო მანქანაში თავის ქალაქგარეთ მდებარე სახლში მისაყვანად, თუმცა მოგვიანებით ერთ-ერთ მაღაზიასთან ჩამოსვა და მას შემდეგ აღარ უნახავს.

გოგონას მობილური ტელეფონი სამართალდამცავებმა მამაკაცის ვილაში იპოვეს. გამომძიებლებმა სანპეის მისი ჩვენებების არათანმიმდევრულობაზე მიუთითეს, რის შემდეგაც მან პოლიციასთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. მამაკაცის ავტომობილის ვიდეორეგისტრატორი აჩვენებს, რომ მან იმ ადგილის მახლობლად გაიარა, სადაც გოგონას ცხედარი იქნა აღმოჩენილი. გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი მამარდაშვილისთვის საუკეთესოები ბენზემა, მოდრიჩი და პედრი არიან

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– პრესეზონს მალე დავიწყებთ და ამის გამო, ბედნიერი ვარ. ახლა ორმაგად მოტივირებული ვარ, რომ ახალი სეზონი წინაზე ბევრად უკეთესი მქონდეს.

– რა გამოცდილება მიიღეთ გასულ წელს ვალენსიაში?

– გასულ სეზონში ნამდვილად დიდი გამოცდილება მივიღე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომდევნო სეზონებში ეს გამოცდილება გამოვიყენო.

– თავდაპირველად გუნდში მეოთხე მეკარედ მიხვედით, თუმცა სეზონი ძირითადის სტატუსით დაასრულეთ.

– მართალია, ვალენსიაში მეორე გუნდში სათამაშოდ ჩავედი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, საჭირო დროს საჭირო ადგილას მოვხვდი და, ვფიქრობ, ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოვიყენე.

– ლა ლიგა როგორი ტურნირია?

– ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაფერმა, რაც განვიცადე და რასაც დღემდე ვსწავლობ. ლა ლიგაში თამაში ძალიან ემოციური იყო.

– რას ელოდებით მომდევნო სეზონში?

– მომდევნო სეზონში ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო და გუნდთან ერთად ევროტურნირების საგზური მოვიპოვო.

– საქართველოს დატოვება და ლა ლიგაში გადასვლა რთული პროცესი იყო?

– ეს დიდი შრომის, ძალისხმევისა და გარკვეული იღბლის შედეგი გახლდათ. ახლა პირველი გუნდის წევრი ვარ და სრულებით მზად ვარ, ვალენსიაში სულ უფრო მეტი ვითამაშო.

– პირველი მატჩი ხეტაფესთან ჩაატარეთ, შემდეგ კიდევ 5 მატჩი და მარცხი სევილიასთან 1:3. ამის შემდეგ 4 თვე არ გითამაშიათ.

– ძალიან რთული იყო იმ 4 თვის განმავლობაში სათადარიგო სკამზე დარჩენა, მაგრამ ძალიან ბევრი ვიმუშავე, რომ ძირითად შემადგენლობაში დავბრუნებულიყავი. ეს იყო ერთადერთი გზა ამ სიტუაციის შესაცვლელად.

– ასეთ მძიმე კონკურენციას ელოდით?

– ლა ლიგა ძალიან რთული ტურნირია, მაგრამ, მას შემდეგ, რაც რეგულარულად თამაში დავიწყე, უფრო თავდაჯერებული გავხდი, უფრო მეტად ადაპტირება შევძელი და ყველაფერი უფრო გამიადვილდა

– სპეციალისტები და გუნდის წევრებიც მიიჩნევენ, რომ გასულ წელს გუნდში საუკეთესო იყავით.

– გასულ სეზონში კარგად ვითამაშე და ბევრი ფიქრობს, რომ სხვადასხვა ასპექტი გავაუმჯობესე. მიუხედავად ამისა, ყოველდღე ბევრი სამუშაო მაქვს იმისთვის, რომ კიდევ განვვითარდე.

– ვალენსია როგორი კლუბია?

– ვალენსია დიდი კლუბია, საოცარი ისტორიითა და ტრადიციებით. ბედნიერი ვარ, რომ ამ კლუბში ვთამაშობ. რა თქმა უნდა, მინდა, ვალენსიაში თამაში და ცხოვრება გავაგრძელო.

– ქალაქსაც შეეჩვიეთ?

– შესანიშნავი კლუბი და ქალაქია, სადაც ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს. გასული სეზონი გიჟური იყო. ჩემთვის ეს რაღაც ახალი და განსაკუთრებული გახლდათ. სულ ვფიქრობ, სად ვიქნებოდი დღეს, ეს ყველაფერი რომ არ მომხდარიყო. გასული სეზონის ძალიან მადლობელი ვარ.

– რომელმა ფეხბურთელმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

– ბენზემამ, მოდრიჩმა, პედრიმ.

– კლუბის ახალ ამბებზე რა იცით?

– ვიცი, რომ ახალი მწვრთნელი გვყავს – ჯენარო გატუზო. დანარჩენს დეტალურად მაშინ გავიგებ, როდესაც კლუბს შევუერთდები.

– რა იცით გატუზოზე?

– ვიცი, რომ ძალიან ემოციურია, კარგი ფეხბურთის თამაში უყვარს და შეტევაში მოკლე პასებით გადასვლა.

– გატუზო ვალენსიას ყველა ფეხბურთელს ელაპარაკა. თქვენც?

– დიახ, მეც დამირეკა. კარგი პიროვნება ჩანს. ვისაუბრეთ მომავალ სეზონზე და გეგმებზე. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ შემეხმიანა.

ვალენსია 2022-23 წლების სეზონისთვის მზადებას რამდენიმე დღეში დაიწყებს და პრესეზონის ფარგლებში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. უკვე დაგეგმილია სპარინგები დორტმუნდის ბორუსიას (18 ივლისი), შტუტგარტისა (23 ივლისი) და ატალანტას (6 აგვისტო) წინააღმდეგ, ხოლო ლა ლიგის ახალი სეზონი 14 აგვისტოს დაიწყება და ვალენსიელები პირველ ტურში ჟირონას უმასპინძლებენ.

საქართველო არგენტინის მეორე ნაკრებთან დამარცხდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა არგენტინა XV-ს პირველ ტაიმში 2 ლამაზი ლელო გაუტანა და 8-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება სამხრეთელ სტუმრებს დარჩათ – 30:24.

ეს იყო 2 განსხვავებული ტაიმის მატჩი. პირველ ნახევარში მასპინძლები სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და მაღალ ტემპში, ხელდახელ უტევდნენ, რაც 2-ჯერ ლელოთი დასრულდა. შესვენების შემდეგ კი არგენტინელებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და მოპოვებულ 6 ქულას 24 შემატეს.

ქუთაისში, „აია არენაზე“ გამართული შეხვედრა მე-100 იყო, რომელიც „ბორჯღალოსნებმა“ 1989 წლიდან დღემდე სამშობლოში გამართეს. სულ საქართველოს 252 თამაში აქვს ჩატარებული, საიდანაც მოიგო 154, ფრედ 9 დასრულა, ხოლო 89 მატჩი მეტოქის გამარჯვებით დასრულდა.

არგენტინა XV-ს „ბორჯღალოსნები“ მეოთხედ შეხვდნენ და ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გათანაბრდა – 2:2.

„ბორჯღალოსნებს“ 37-ედ უკაპიტნა მერაბ შარიქაძემ და ამ მაჩვენებლით ილია ზედგინიძეს გაუტოლდა. 39 თამაშით პირველ ადგილზეა ირაკლი აბუსერიძე.

იტალიასთან შეხვედრამდე „ბორჯღალოსნებმა“ ქუთაისში გასახურებელი მატჩი გამართეს. პირველ ტაიმში ისინი ხელდახელ, მაღალ ტემპში უტევდნენ და რამდენიმეჯერ გაჭრეს ხაზი, რასაც 2 ლამაზი ლელო მოჰყვა, თუმცა, რომ არა შეცდომები, მინიმუმ ერთი ამდენი ლელოს გატანა კიდევ შეიძლებოდა.

პირველი ასეთი ეპიზოდი დებიუტშივე ვიხილეთ, როდესაც ვასილ ლობჟანიძემ ხაზი გაჭრა და ბურთი დავით ნინიაშვილს გაატანა, მან კი, თავის მხრივ, იერიშში სანდრო თოდუას ჩართვა ცადა, მაგრამ პასს სიზუსტე დააკლდა. ის, რაც არ გამოვიდა დებიუტში, იდეალურად შესრულდა მე-8 წუთზე. ცენტრის სიახლოვეს დანიშნული შერკინებიდან ბურთი ბექა გორგაძემ ლობჟანიძეს გაუტანა, ცენტრში შემოსულმა აკა ტაბუცაძემ მცირე ხვრელით ისარგებლა და ხაზი გაჭრა, რასაც თედო აბჟანდაძეზე ოფლოუდი მოჰყვა, ჩვენმა მგეზავმა წინ წაიწია და სივრცეში გრძელი პასი გააკეთა, სადაც მაღალ სიჩქარეში შევიდა ნინიაშვილი და ლელო ალამთან დაამიწა. აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა.

ბურთაობა მაღალ ტემპში გაგრძელდა და მეტოქის ნახევარზე დაშვებულ შეცდომას კონტრშეტევა მოჰყვა, მაგრამ ნინიაშვილმა მოასწრო დაცვაში დაბრუნება და ჩვენი ლელოდან საფრთხე ძლიერი დარტყმით განმუხტა. ამას კიდევ რამდენიმე შეცდომა მოჰყვა და პრისიანტელიმ მე-15 წუთზე ახლოდან ჯარიმა გაიტანა. ერთ ეპიზოდში დაცვაში კარგად კვლავ ნინიაშვილი გაისარჯა და მეტოქეს ბურთი ხელიდან ამოაცალა.

22-ე წუთზე საქართველომ ჯარიმით 3 ქულის აღებაზე უარი თქვა, მოლის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიდა, ნინიაშვილმა ცრუ მოძრაობის შემდეგ ხაზი გაჭრა და თავად მიზანს ვერ მისწვდა, მაგრამ მიმყოლ აბჟანდაძეს პასი არ დაუგვიანა და თედომ ლელო დადო, რომელიც ძელის გავლით გარდასახა. არგენტინამ 29-ე წუთზე კვლავ ჯარიმით გვიპასუხა, მალე კი საქართველოს კარგი შეტევის შემდეგ ლობჟანიძემ ბურთი ფეხით ლელოში გადაკიდა. რომ არა ხარიხა, დიდი ალბათობით, ნინიაშვილი მას ლელოში დაამიწებდა, ასე კი ოვალმა მოედანი დატოვა – 14:6.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა ჯარიმა შორიდან ააცილეს, მერე ჩვენი შეცდომის გამოყენება ცადეს, მაგრამ დაცვაში თოდუა და ნინიაშვილი საიმედოდ გაისარჯნენ.

პირველისგან განსხვავებით, მე-2 ტაიმში არგენტინელებმა შეძლეს თავიანთი თამაშის თავს მოხვევა. დროის უმეტესი ნაწილი უბურთოდ დავრჩით და ამით მეტოქემ ისარგებლა. პრისიანტელის ჯარიმას აბჟანდაძემ 2 წუთში უპასუხა, რასაც შეცვლები მოჰყვა და, სანამ ჩვენი თამაში დალაგდა, მეტოქემ 2 გარდასახული ლელო გაიტანა.

59-ე წუთზე სამხრეთელებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი დაძრეს და სანტიაგო სოსინომ დაასრულა. ორიოდე წუთში კი დერეფნის შემდეგ სუფთად გაიჭრა ხაზი და პასის შემდეგ სანტიაგო რუის შემჩერებელი აღარავინ იყო. ალბორნოსი გარდასახვებიდან ზუსტი იყო. საქართველოს 2-ჯერ შეეძლო ჯარიმით ჩამორჩენის შემცირება, მაგრამ ლელოზე თამაში არჩია, მოლით მიზანს ვერ უწია და სტუმართა 22-დან უქულოდ გამოვიდა.

73-ე წუთზე არგენტინას მოლით ლელოს გატანის შესაძლებლობა აღარ მივეცით, მაგრამ ფორვარდების მიძალება 7 ქულით მაინც დასრულდა. „ბორჯღალოსნებმა“ დასკვნითი წუთები ძალისმიერ შეტევებში გაატარეს და სულ ბოლოს ნოდარ ჭეიშვილმა ლელოც გაიტანა, აბჟანდაძემ გარდასახა, მაგრამ თამაშის შემოსაბრუნებლად დრო აღარ რჩებოდა – 24:30.

ეს იყო კარგი გასახურებელი თამაში იტალიასთან მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ, რომელსაც 10 ივლისს ბათუმში, ახალ სტადიონზე დავუხვდებით.

საქართველოში ჩამოსვლამდე იტალია ჯერ ჩვენს მე-3 მეტოქეს, პორტუგალიას ეთამაშა და 38:31 დაამარცხა, მერე კი რუმინეთსაც სძლია – 45:13.

შედეგები

3 ივლისი

ჩოგბურთი – უიმბლდონი

კაცები

გოფინი-ტიაფო	7:6,5:7,5:7,6:4,7:5
ნორი-პოლი	6:4,7:5,6:4
სინერი-ალკარასი	6:1,6:4,6:7,6:3
ჯოკოვიჩი-ვანრეიტჰოვენი	6:2,4:6,6:1,6:2

ქალები

ბოუზკოვა-გარსია	7:5,6:2
მარია-ოსტაპენკო	5:7,7:5,7:5
უოტსონი-ნიემაიერი	2:6,4:6
მერტენსი-ჯაბირი	6:7,4:6

კალათბურთი

მრ-2023. საკვალიფიკაციო ეტაპი

დ.ბრიტანეთი-თურქეთი	71:85
შვედეთი-სლოვენია	81:84
გერმანია-პოლონეთი	93:83
სლოვაკეთი-ლატვია	60:93
ისრაელი-ესტონეთი	96:77
ხორვატია-ფინეთი	79:81
ფილიპინები-ინდოეთი	79:63
იაპონია-ჩინეთი ტაიპეი	89:49
ჩინეთი-ავსტრალია	48:71
დ.კონგო-ეგვიპტე	52:80
სენეგალი-კენია	86:54
ანგოლა-ც.აფრიკა	76:60
გვინეა-კოტ დივუარი	56:65
ნიგერია-უგანდა	91:72
რუანდა-ტუნისი	66:76
კამერუნი-ს.სუდანი	56:67

ევრ-2025. საკვალიფიკაციო ეტაპი

ავსტრია-კვიპროსი	78:49
ნორვეგია-დანია	62:64
ირლანდია-შვეიცარია	82:88
ალბანეთი-რუმინეთი	62:76

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ღაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲗᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲔᲓᲘ

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. ქართველი კომიკოსი; 4. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 6. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. აჭარული ცეკვა; 16. კომპიუტერული თაღლითი; 17. წითელი ფერის ნახევრად მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. მდინარე ერევანში; 22. აეროპორტი პეკინში.

თარაზულად: 5. ხევსურული ტანსაცმელი; 7. მთიანეთი აშშ-ში; 8. ვაშლის ქართული ჯიში; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. გიორგი ერისთავის პიესა; 13. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 23. ლირიკული სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანულ-სპარსული სიმღერა; 24. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 25. საფრანგეთის ქალაქ ლუტეციის დღევანდელი სახელწოდება; 26. ემილ ზოლას რომანი; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გარინჩა; 2. ჰეპატიტი; 3. ესკიმო; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მურვანიძე; 13. მისტიკა; 15. ორფოლო; 16. ჰომერი; 18. აყირო.

თარაზულად: 4. ბარაკონი; 6. კლემენსი; 8. ცივილიზაცია; 10. დონჩიჩი; 11. რომი; 12. დრაივი; 14. ფოლგა; 17. გნომი; 19. ოფურო; 20. აერობუსი; 21. ეტლი; 22. პორტვეინი; 23. პოდესტა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დუქანი; 2. ნიყვი; 3. ესაკია; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. პედრი; 11. სტაფაჟი; 15. სუბმარინა; 16. კულუხი; 17. კელასური; 19. ეთიოპია; 21. ლიქტორი; 22. ბედეგი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. ასპინძა; 8. კლოაკა; 10. ნეფრიტი; 12. აიეტი; 13. პეტრა; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. რუტერი; 23. სევანი; 24. ქისი; 25. ტეხასი; 26. გენი; 27. დროზერა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8762

ევრო — 3.0062

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4888

100 რუსული რუბლი — 5.1945

ამინდის პროგნოზი 5 ივლისისათვის



ხავი: „სეზონისთვის მზადებას მალე დავიწყებთ“



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა მომავალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი მზადებას მალე დაიწყებს, რადგან მას სურს, რომ ბარსელონა სეზონის დასაწყისს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეს:

– ბარსელონას უმაღლესი მიზნები აქვს და სეზონისთვის შესაბამისად უნდა მოვემზადოთ. მინდა, რომ გულშემატკივარმა ისევ ძველი ბარსელონა იხილოს.

კარიმ ბენზემა: „ოქროს ბურთი ჩემთვის მთავარი არ არის“



მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ოქროს ბურთსა და ინდივიდუალურ პრიზებზე ისაუბრა და, მისი თქმით, ოქროს ბურთის მოგება ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის:

– მინდა, რომ რეალთან ერთად ტიტულები მოვიგო, ხოლო ინდივიდუალური ჯილდოები მთავარი არ არის. ოქროს ბურთის მოგება სასიამოვნო იქნება, მაგრამ ეს ჩემი მთავარი მიზანი არ არის.

კრიშტიანო რონალდუს მანჩესტერის დატოვება სურს

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელ ფორვარდ კრიშტიანო რონალდუს გუნდის დატოვება სურს. ამის შესახებ მან თავის აგენტს უთხრა და ისინი ახალი გუნდის ძიებაში არიან. ერთ-ერთი ვარიანტი მიუნხენის ბაიერნია, რომელსაც, დიდი აღბათობით, რობერტ ლევანდოვსკი დატოვებს და რონალდუ, სავარაუდოდ, სწორედ მის შემცვლელად მოიაზრება. არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ კრიშტიანო სამშობლოში, პორტუგალიაში დაბრუნდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გიორგი მამარდაშვილისთვის საუკეთესოები ბენზემა, მოდრიჩი და პედრი არიან

ესპანური ლა ლიგის გასული სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა გიორგი მამარდაშვილი იყო, რომელიც ვალენსიაში მე-2 გუნდში სათამაშოდ და პირველი გუნდის მე-4 მეკარის რანგში ჩავიდა, მაგრამ სეზონი ძირითადი მეკარის სტატუსით დაასრულა.

21 წლის ქართველი მეკარის ინტერვიუ ესპანურ მარკაში გამოქვეყნდა.

– რამდენიმე დღეში ვალენსიას დაუბრუნდებით და ისევ მუშაობას შეუდგებით.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ასტროპროგნოზი

5 ივლისისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. ** კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

გემი იძირება. კაპიტანი მგზავრებს მოუწოდებს, წყალში ჩაშვებულ სამაშველო ნავებში გადასხდნენ, მაგრამ მათ გემიდან გადახტომის ეშინიათ და ადგილიდან არ იძვრიან. მაშინ კაპიტანი ყველასთან სათითაოდ მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, რის შემდეგაც ყველანი სასწრაფოდ ნავებში ჩახტნენ. ბოლოს ნავში კაპიტანი და მისი თანაშემწე ჩასხდნენ. თანაშემწე ეკითხება:

– რა უთხარით ასეთი, რომ ყველანი ასე სწრაფად დაგემორჩილნენ?

– ყველას თავისი მიდგომა უნდა.

– ეგ როგორ?

– გერმანელებს ვუთხარი, რომ ეს ბრძანება იყო, ამერიკელებს ვუთხარი, რომ ეს პატრიოტული იქნებოდა, იაპონელებს ვუთხარი, რომ ეს პოტენციას ამაღლებს, ხოლო ქართველებს, რომ ეს აკრძალული იყო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემს შეყვარებულთან ყველა ცოდვა ვაღიარე...

– მერე, რაო?

– ვერ მიშველა, ქორწილი სამი კვირაში გვექნება.

●●●

კაცი პროგრამისტს ურეკავს და ეკითხება:

– კომპიუტერი თავისით ითიშება და როგორ მოვიქცე?

– სისტემური ბლოკი დაბლა გიყენია?

– კი.

– წინდები გამოიცვალე... გონებას კარგავს.

●●●

ფეხბურთის მატჩის დროს ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, იმ მაყურებელს რატომ აგინებენ მის გვერდით მსხდომები?

– მსაჯს ბოთლი ესროლა.

– კი მაგრამ, ხომ ვერ მოარტყა!

– ჰოდა, მაგიტომაც ეჩხუბებიან.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სად მუშაობ?

– უშიშროებაში.

– ვაა, მაგარია, მომიყევი რაიმე საინტერესო!

– შენზე თუ ჩემზე?

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ამ დილით ასე ცუდად რატომ გამოიყურები, წუხელ სვამდი?

– რომ მცოდნოდა, ასე ცუდად ვიქნებოდი, ნამდვილად დავლევდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნუცა ბუზალაძე დუბაიში კლიპს იღებს



მომღერალი ნუცა ბუზალაძე დუბაიში თავის პირველ კლიპს იღებს.

ინფორმაცია მომღერალმა ათასობით გულშემატკივარს სოციალური ქსელის საშუალებით თავად გააცნო.

ნუცას დუბაისთან აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს – მომღერალი მართავს კონცერტებს, მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში, ახლა კი ვიდეორგოლის გადაღების გადაწყვეტილებაც მიიღო.

ნუცას შემოქმედებითი სიახლე მისმა გულშემატკივრებმა დიდი სიხარულით მიიღეს და მომღერალს წარმატებები უსურვეს.

ნიკოლოზ ხარატმა სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა

მუსიკალური შოუს „რანინას“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფინალისტმა ნიკოლოზ ხარატმა მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში და თავისი მუსიკალური შესაძლებლობები იქაც უნაკლოდ წარმოაჩინა.

გოგა პიპინაშვილმა სტუდია „არტ ჰოლის“ აღსაზრდელებთან ერთად კინომსახიობთა თეატრში წარმოადგინა სპექტაკლი „ჰელადოსი“, რომელშიც სტუდიის მეოთხე თაობამ მიიღო მონაწილეობა. აღდგენილ სპექტაკლში მომღერალი ნიკოლოზ ხარატიც მონაწილეობს.

ბექა გოჩიაშვილი გერმანიაში მიიწვიეს

ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი გერმანიაში მიიწვიეს.

8 ივლისს აუდის საერთაშორისო საზაფხულო ფესტივალზე ბექას კონცერტი გაიმართება ლევან დეისაძესა და ზაზა ცერცვაძესთან ერთად.

გერმანიის ქალაქებიდან და ევროპის ქვეყნებიდან კონცერტზე დასასწრებად ბექას მეგობრები და მისი გულშემატკივრები მრავლად ჩადიან.

მუსიკოსი მსმენელის წინაშე განსაკუთრებული პროგრამით წარდგება.

ცოტნე ზედგინიძე საერთაშორისო ფესტივალზე ჩავიდა

ვირტუოზ კომპოზიტორად წოდებული ცოტნე ზედგინიძე გერმანიაში საერთაშორისო ფესტივალზე ჩავიდა. მას ფესტივალზე ჩასვლის პრობლემას მამა – გიორგი ზედგინიძე უქმნიდა. როგორც ჩანს, პრობლემა მოგვარდა და ცოტნემ პედაგოგთან – ბებიასთან ერთად გერმანიაში ჩასვლა შეძლო.

ინფორმაცია მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– ძალიან საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე დღე მქონდა – მიუნჰენის ფილარმონიულ ორკესტრთან ლიზა ბათიაშვილის გენერალურ რეპეტიციას დავესწარი. არ ვიცი, რა სიამაყეა, ასეთი ბრწყინვალე და უკვე ლეგენდარულთა სიაში გადაბარგებული მუსიკოსის მეგობარი რომ ვარ. იმას აღარც ვთვლი, ჩემი დაწერილი „სითი ლაითი“ რად აქცია, ყველა კომპოზიტორი თუ გაორკესტრების ოსტატი რომ ნატრობს და ოცნებობს.

ჩამოვიდა ცოტნეც და გენერალურ რეპეტიციაზე ორკესტრთან ერთად მისი უახლესი ნაწარმოების საპრემიერო რეპეტიციას შევუდექით – წინამოსამზადებელი შეხვედრა გვქონდა ინგოლშტატის კამერარიატში. ჩვენთან ერთად ჩემი უძვირფასესი მეგობარი და ბრწყინვალე კონტრაბასისტი დიმა გაგულიძეც იყო. დიმამ განიცადა ცოტნესთან ურთიერთობის შოკი, რაც მე წლების წინ მაქვს „გადატანილი“. ისეთი რთული ეპიზოდები აქვს 12 წლის კომპოზიტორს თავის ნაწარმოებში, რომ, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, წარმოუდგენლად ვღელავ, რომ სწორად და გასაგებად ვიდირიჟორო.

აუდის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ლიზა, გაიხსნა, ფესტივალი, რომლის პროგრამაში დანიელ ბარენბოიმის, საიმონ რატლისა და სხვა ლეგენდების გვერდით კონცერტები აქვს ცოტნეს, ბექას, ზაზასა და ლევანთან ერთად და მე – ჯერ ინგოლშტატელ ჩვენს კამერულთან და შემდგომ უკრაინის ლვოვის საერთაშორისო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ასე რომ, ვატიკანის საამაყო მოვლენების პარალელურად, გერმანიაში ჩვენც ვაგრძელებთ ქართული საქმის კეთებას ჩვენი სამშობლოს სიყვარულითა და მომავლის იმედით!

მიშა ქირია ზალცბურგის ფესტივალზე იმღერებს

ოპერის ქართველი მომღერალი, ბარიტონი მიშა ქირია, ზალცბურგის ფესტივალზე იმღერებს:

– ყოველგვარი მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე მინდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული: ზალცბურგის ფესტივალის 100 წლის არსებობის განმავლობაში, მერგო პატივი, ვიყო ბარიტონი, რომელიც პუჩინის ჯანი სკიკიში პირველად შეასრულებს ჯანი სკიკის პარტიას. ამ ჯადოსნურ ადგილას, რომელიც მსოფლიოს თითზე ჩამოსათვლელი სცენებიდან ერთ-ერთია, პირველად იდგმება პუჩინის ტრილოგია. დანტე, პუჩინი, ზალცბურგის ფესტივალი, ვენის ფილარმონიული ორკესტრი, ქრისტოფ ლოი, ფრანც ველზერ-მოესთი. უკეთესს რომ ვერ ინატრებ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 3. ქართული ავიაკომპანია; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 13. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 15. ქართული ლუდი; 16. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი შუა აზიაში; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 12. ორგანიზმის კუნთების მოქმედების მოდუნება, დაქვეითება; 14. ქართული ტელეკომპანია; 17. საქმეში გამოუცდელი ახალბედა ადამიანი; 19. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 20. უბანი თბილისში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება სავალდებულოა; 23. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა